ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №6, ივნისი, 2016

კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება

კურსდამთავრებულთა წლევანდელი გამოშვება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ღონისძიებით აღინიშნა. უნივერსიტეტმა ახალგაზრდებს დაუვიწყარი საღამო მოუწყო. საზეიმო გაცილებაში ბსუ—ს ადმინისტრაციის წარმომადგენლებიც ჩაერთნენ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება წელს 1128 სტუდენტმა დაამთავრა. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ჯემალ ანანიძემ, პროფესორებმა, მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლებმა, მანტიებში გამოწყობილ სტუდენტებს ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. სტუდენტურ ცხოვრებაში შეტანილი წვლილისა და წარჩინებული სწავლისთვის 170 სტუდენტს სიგელები გადაეცა. თეთრ ხალათებში შემოსილმა ჯანდაცვის მიმართულების კურსდამთავრებულებმა საზეიმო ვითარებაში, დაჯილდოების ცერემონიაზე ჰიპოკრატეს ფიცი დადეს.

ღონისძიების ფარგლებში ბსუ-ს მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორის მიმართულების სტუდენტებისა და მომავლის სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის FAB LAB BSU-ს გამოფენა მოეწყო. გარდა ამისა, დაჯილდოვდნენ რეფერატულ ნაშრომთა კონკურსში გამარჯვებული პირველკურსელები და სტუდენტთა კონფერენციის მონაწილეები, რომელთაც სერტიფიკატები გადაეცათ. საღამოს გაფორმებაზე კახა ცინცაძის მუსიკალური ჯგუფი „ბლექსი“ ზრუნავდა, საცეკვაო ნომრები წარმოადგინა ბსუ-ს ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „ტბეთი“.

კურსდამთავრებულთა საზეიმო გამოშვების ღონისძიება სტუდენტური თვითმმართველობის ორგანიზებით, სახალისო, გასართობი და მასშტაბური ფერების ფესტივალით, ელექტრონული მუსიკით, მანათობელი ფარნებისა და ფოიერვერკების გაშვებით დასრულდა.

დარიკო შენგელია

აბიტურიენტის ფიქრები



1 ივლისს ერთიანი ეროვნული გამოცდები დაიწყო. შესაბამისად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი სტუდენტთა ახალ ნაკადს ელის. აბიტურიენტი სალომე დოლიძე ერთ-ერთი იმათგანია, ვინც ერთიან ეროვნულ გამოცდებს აბარებს და გეგმავს, რომ ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი გახდეს.

„2016 წელს ქვედა ახალშენის საჯარო სკოლა დავასრულე. ვარ აბიტურიენტი, მჯერა საკუთარი შესაძლებლობების და დარწმუნებული ვარ, გავხდები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. ზუსტად ვიცი, რომ ეს უნივერსიტეტი არის გზა უკეთესი მომავლისაკენ. რამდენადაც ვიცი, მას ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში 80-იანი გამოცდილება აქვს და ეს სრულიად საკმარისი იყო იმისთვის, რომ არჩევანი ბსუ-ზე შემეჩერებინა.

— რომელ სპეციალობაზე მინდა ვისწავლო? — გეტყვით, რომ ბავშვობიდანვე მინდოდა ისტორიკოსი ვყოფილიყავი და ქართული კულტურა ძირფესვიანად შემესწავლა. დროთა განმავლობაში შეხედულებები და ინტერესები შემეცვალა. ამ ეტაპზე ასე მგონია, რომ სამართლის სფერო ჩემთან უფრო ახლოსაა და გადავწყვიტე ამ მიმართულებით წავიდე. ვფიქრობ, არ ვცდები. ეს რა თქმა უნდა არ მიუთითებს ჩემს მერყევ ხასიათზე, მაგრამ ამ ეტაპზე მიმაჩნია, რომ საქართველოს ამ მიმართულებით უფრო მეტი სპეციალისტი სჭირდება.

ჯერ სტუდენტი არ ვარ და უკვე ვფიქრობ როგორი 4 წელიწადი შეიძლება მქონდეს. ვფიქრობ, სრულიად განსხვავებული, შთამბეჭდავი და ყველაზე აქტიური სტუდენტური წლები მექნება. ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან აქტიური ხასიათი არც სკოლაში მაკლდა და ვფიქრობ, უნივერსიტეტში უფრო აღმატებით ხასიათს მიიღებს. რაც უფრო სირთულეს ეჭიდება ადამიანი, მით მეტია მოტივაცია საქმესთან დაკავშირებით და ჩემს სტუდენტობას სწორედ ასე აღვიქვამ.

თანამედროვე აბიტურიენტის ერთი ჩვეულებრივი დღე ძალიან დატვირთულია. დავიწყებ იმით, რომ რეპეტიტორის ინსტიტუტი დღევანდელი რეალობიდან გამომდინარე, საჭირო კი არა, აუცილებელია. სკოლებში აღარაა იმდენი მოთხოვნა სწავლისადმი, რამდენიც უნდა იყოს და მიმაჩნია, რომ კვალიფიციური მასწავლებლების სიმწირეა (ცოტა უხეშად რომ ვთქვათ). სკოლაში თუ იქნება ისეთი სწავლება, როგორიც აუცილებელია რომ იყოს, ვფიქრობ საქართველოში სრულიად არ იქნება საჭირო რეპეტიტორის ინსტიტუტი, რადგან სკოლა ვერ გვაძლევს ისეთ განათლებას, რის საფუძველზეც სტუდენტები გავხდებით, ჩვენც კერძო მასწავლებლებს მივმართავთ ხოლმე.

დილიდან საღამომდე და ზოგჯერ გვიან ღამემდეც, აქტიურად ვმეცადინეობ. ერთი მეცადინეობიდან გამოვდივარ და გავრბივარ, რომ მეორე მეცადინეობაზე არ დამაგვიანდეს. ვფიქრობ, სასურველი მიზნის მისაღწევად, ამაზე რთულ პირობებშიც აღმოვჩნდები ალბათ. „კენწერომდე“ ისევ დიდი გზაა. მჯერა, ყველაფერი კარგად იქნება.

რაც შეეხება ჩემს მომავალს: ამ ეტაპზე არ მაქვს რთული გეგმები (ყველაფერი მარტივი გენიალურია). დანარჩენს კი დრო გვიჩვენებს. ვაცნობიერებ, რომ ბევრი რთული პერიოდი მექნება ცხოვრებაში, მაგრამ მთავარია სწორად შეარჩიო ალტერნატივები. სასურველი მიზნის მისაღწევად არც დილემის წინაშე დგომამ უნდა შეგვაშინოს. ადამიანი თავისი ხელით იქმნის თავის მომავალს. ამდენად, ყველაფერი ჩვენზეა დამოკიდებული — როგორც მოვიქცევით, შესაბამისი შედეგი გვექნება.

სალომე დოლიძე,
აბიტურიენტი

„უნივერსიტეტი, ჩემი გამზრდელი კერა, ჩემი ცოდნის ტაძარი, იმ დღეს ჩემთვის ლოცულობდა“...

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი ნანი გუგუნავა სრულიად საქართველოში ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერია, გულმხურვალე მამულიშვილი, რაფინირებული ინტელიგენტი, მშვენიერებითა და ღრმა ინტელექტით გამორჩეული ქალბატონი, რომლის სავიზიტო ბარათზე მიმდინარე წლის მარტში კიდევ ერთი საპატიო წოდება მოინიშნა — ღვაწლმოსილ მეცნიერსა და მოღვაწეს ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა.

გაზეთ ბათუმის უნივერსიტეტის სტუმარი ქალბატონი ნანი გუგუნავა გახლავთ.

— ქალბატონო ნანი, ალბათ დამეთანხმებით, რომ ჭეშმარიტი ბათუმელისთვის, საპატიო ბათუმელზე მეტად აღმატებული სხვა ჯილდო არ არსებობს. თქვენ სულ ახალახან გახდით ამ ჯილდოს მფლობელი. გთხოვთ, მოგვითხროთ თუ რა გახდა თქვენი ღვაწლის აღიარების საფუძველი?

— ტიტულის, საპატიო ბათუმელის — უმაღლესობა ჩემთვის პრეზუმპცია კი არაა, არამედ პოსტულატია. დავიწყებ იმით, რომ ჩემთვის და ნებისმიერი ჩემი თანაქალაქელისათვის სამშობლოს ცნება პირველად მშობლიურ ქალაქს უკავშირდება — „სადაც სიყრმითვე ვშობილივარ, ჩემი სამშობლო ის არის“. საპატიო ბათუმელის ტიტული, როგორც წესი, ჩემგან ითხოვდა მშობლიური ქალაქის ზრუნვაში გატარებულ წარმატებულ წლებს; იმ პრაქტიკული საქმიანობის ნუსხას, რომელთა შესრულებისათვის თავდადება საყოველთაო აღიარებაში აისახა. ამ დიდ ჯილდოს წინ ღირსების ორდენი, მედლები და სხვა ჯილდოები უსწრებდა. კონკრეტულად ჩემი დამსახურების არეალი საგანმანათლებლო-კულტურული სფერო გახლდათ. ვარ ექვსი მონოგრაფიისა და 120-მდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. ამასთან, ყოველთვის მთავარ ადგილს ვუთმობდი ეროვნულ ფასეულობებს. როგორც პატრიოტი ქართველი, სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრშიც ვიდექი და საჯაროდ გამოვხატავდი ჩემს შეხედულებებს. არამარტო აქ, ჩვენთან, აჭარაში, არამედ ჩვენს დედაქალაქში, თბილისში. ამ კუთხით შემიძლია გავიხსენო ჩემი გამოსვლები ღია ეთერით თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში (ქართული უნივერსიტეტის დაარსებიდან 75 წლის იუბილეზე), თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით, თბილისში მემედ აბაშიძის ძეგლის გახსნაზე, ბათუმში ჩვენი უნივერსიტეტის ახალი კორპუსის გახსნასთან დაკავშირებით...

ათეული წლების განმავლობაში აჭარიდან, კონკრეტულად კი ბათუმიდან გახლდით დესპანი, მოსკოვის, პარიზის, მონპელიეს, ამერიკის (ჯორჯიის შტატი), ბულგარეთის (სოფია), ანკარის, ტაშკენტის და სხვა სამეცნიერო საზოგადოების კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე. თამამად შემიძლია ვაღიარო, რომ ჩემი დამახასიათებელი თვისება ყოველთვის მუხლჩაუხრელი შემოქმედებითი, თავდაუზოგავი შრომა იყო. თუ როგორ ვიღვაწე, ამის შესახებ ზღვა დოკუმენტური მასალა არსებობს, რომელიც დროის კვალობაზე, სხვადასხვა ავტორების მიერ გამოცემულ წიგნებშიც („აჭარელი ქალები“, „ღვაწლით გალამაზებული სიცოცხლე“, „აჭარის ქალთა საბჭოს ისტორიიდან“ და სხვ.) აისახა. ხოლო ვიდეო-კოლაჟი — „ნანი გუგუნავა“ — ბათუმის მერიის სპეციალური დაჯილდოების კომისიის საბოლოო გადაწყვეტილების საფუძველი გახდა. ვიმეორებ, არაერთი ჯილდო (ორდენები, მედლები, საპატიო სიგელები) მიმიღია, მაგრამ საპატიო ბათუმელის ტიტული განსაკუთრებული ჯილდოა, რომელსაც გამორჩეული განწყობით შევხვდი.

— ქალბატონო ნანი, მაინც რას მივაწერო თქვენი ამგვარი განსაკუთრებული განწყობილება?

— კეთილი, მოგახსენებთ. ეს ჯილდო აღვიქვი, როგორც მშობლიური ქალაქის საჩუქარი. მქონდა შეგრძნება, რომ ჩემთან ერთად ზეიმობდა დედა-ბუნებაც კი: მეალერსებოდა ზღვიდან მონაბერი სიო, ჩემთვის ჩურჩულებდნენ პალმები, საზეიმო ელფერი ჰქონდათ მწვანეში ჩაფლულ ხეივნებს, ქათქათა კოლონადებს. სიმბოლური იყო ისიც, რომ საპატიო ბათუმელის დამადასტურებელი ჯილდო მშობლიურ უნივერსიტეტში, რუსთაველის დარბაზში ქალაქის მერმა, ბატონმა გიორგი ერმაკოვმა გადმომცა და მომილოცა საპატიო ბათუმელის წოდება. უდიდესი მადლიერების სიტყვები დამიგროვდა პირადად მისი მისამართით და პასუხისმგებლობაც.

„ვამაყობ, რომ ბათუმელი ვარ“...

„ამ ლამაზ დღეებს „მომავლის... რეპეტიციად“ აღვიქვამ. მომავალ თაობას უთუოდ ჭირდება დიად საქმეთა საკეთებლად, წახალისების ლამაზი ფორმა, მაგალითის ძალაზე აგებული“

პასუხისმგებლობის შეგრძნება ჩემთვის აპოგეა გახლავთ, რომელიც თავისთავად ემოციურ ფონს და განწყობილებას მიქმნის. ნიშანდობლივი და მეტად სასიამოვნო გახლდათ ის ფაქტი, რომ საპატიო ჯილდოს მიღება იქვე მომილოცა უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა მერაბ ხალვაშმა და სამახსოვრო სუვენირიც მიბოძა. დიდი მადლობა მას. უნივერსიტეტი, ჩემი გამზრდელი კერა, ჩემი ცოდნის ტაძარი, იმ დღეს ჩემთვის ლოცულობდა... მთელი კვირის განმავლობაში არ შეწყვეტილა სატელეფონო ზარები, საიდან არ მირეკავდნენ.

უნდა ვთქვა ისიც, რომ მოსვენებას არ მაძლევდნენ სულმნათი აკაკი წერეთლის სიტყვები, მისივე საიუბილეო საღამოზე ლექსად წარმოთქმული:

„მილოცვენ და მადლს მიხდიან... და რისთვის?

რა მიმიძღვის სამსახური მისთანა?“

ისევ პოეტს დავესესხები და ამ ლამაზ დღეებს „მომავლის... რეპეტიციად“ აღვიქვამ. მომავალ თაობას უთუოდ ჭირდება დიად საქმეთა საკეთებლად, წახალისების ლამაზი ფორმა, მაგალითის ძალაზე აგებული.

— ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრმა მიიღო საპატიო ბათუმელის წოდება. ეს ერთგვარ გაუბრალოებას ხომ არ გამოიწვევს ამ მეტად პრესტიჟული ტიტულისა?

— არ ვფიქრობ ასე. ბათუმი ნახტომისებურად იზრდება და ვითარდება, ყოველდღიურად შენდება და მშვენდება. ეს უკვე აღარაა რამდენიმე ქუჩისა თუ უბნისგან შემდგარი პატარა ქალაქი, რომელიც ჩემს თაობას ახსოვს. იზრდება ბათუმის საზღვრებიც და იზრდება მოსახლეობაც. პარალელურად იზრდება კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, განათლების. მშენებლობის, მრეწველობის... სფეროებში დასაქმებული მაღალი რანგის პროფესიონალების, დამსახურებულ მოღვაწეთა რიცხვი. რა საჭიროა ხელოვნური შეზღუდვები მათი საქმიანობის, ღვაწლის წარმოსაჩენად, მათ დასაფასებლად. ვთვლი, რომ ყველაფერ ამას დიდებულად აუღო ალღო ჩვენი ქალაქის მერმა. იგი რეალობის დამნახავი და ჭეშმარიტი შემფასებელი გამოდგა ამ კუთხითაც. რატომ არ უნდა გავახაროთ ღვაწლმოსილი, დამსახურებლი პიროვნებები, საზოგადო მოღვაწეები, ისინი, ვინც ყოველთვის ჩვენი ქალაქის მაჯისცემით ცხოვრობენ?

— ხომ არ თვლით, რომ საპატიო ბათუმელის წოდებას ფულადი ჯილდოც უნდა ახლდეს?

— ვფიქრობ, რომ სამომავლოდ ამ მიმართებით გადაიდგმება კონკრეტული ნაბიჯები. გათვალისწინებული იქნება სხვა ქართული ქალაქების ტრადიციები და საუკეთესოდ შეჯერებული დებულება კორექტივსაც შეიტანს ძველი ცხოვრების წესში. მაგრამ ეს მხოლოდ მომავლის ფანჯრიდან განსაჭვრეტი რამაა. პირადად ჩემთვის უძვირფასესი იყო ის მაღალი საზოგადოება, რომელიც საპატიო ტიტულის გადმოცემის ცერემონიალს ესწრებოდა. ვსარგებლობ შემთხვევით და მადლობას ვუძღვნი აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს, ბატონ ავთანდილ ბერიძეს, შთამაგონებელი სიტყვებისათვის.

— როგორ დაახასიათებდით ჩვენს ახალგაზრდა თაობას? რაიმე საფრთხეს ხომ არ გვიქმნის რობოტის საუკუნე?

— ჩვენ გვყავს ძალიან ნიჭიერი ახალგაზრდა თაობა, თავისუფალი, თამამი შეხედულებებით. ეს სითამამე პროგრესს უთმობს ასპარეზს. საპასუხოდ კი ფართო სარბიელი აქვთ. მათ აქვთ საშუალება ეზიარონ როგორც ეროვნულ, ასევე ევროპულ, აღმოსავლურ, ამერიკულ მიღწევებს განათლების, მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის... სფეროებში.

რობოტიზაცია ჩვენს ახალგაზრდობას საფრთხეს ვერ შეუქმნის. მთავარია, ნიჭისა და პოტენციალის სწორად წარმართვა. კომპიუტერიც და რობოტიც ადამიანის გონის ეპოქალური გამარჯვებაა, და ადამიანისვე სამსახურში უნდა ჩავაყენოთ. თანადათანობით, ამ მხრივ, ზომიერების უნარ-ჩვევათა შემუშავებაც მოხდება. საერთოდ, სწავლა-აღზრდის საკითხში უფრო გაბედული და თავისთავადი სიტყვა უნდა თქვას განათლების სისტემამ, მეცნიერებათა აკადემიებმა.

— რას გრძნობს საპატიო ბათუმელი ნანი გუგუნავა ბათუმის ქუჩებში, სახლში, სადარბაზოში, ბათუმურ ეზოებში თუ ზღვისპირა პარკში?

— ყველგან და ყოველთვის ვგრძნობ მხოლოდ და მხოლოდ ჩემი თანაქალაქელების განსაკუთრებულ სითბოსა და სიყვარულს. ბედნიერი ვიქნები, თუ მეც ჩემს წილ სითბოსა და სიყვარულს ვაჩუქებ ჩემს ბათუმს, ჩემს ბათუმელებს... და საერთოდ, ვამაყობ, რომ ბათუმელი ვარ...

როგორ კულტურულ ცხოვრებას გვპირდება აჭარის განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრო ზაფხულში

გაზეთ ბათუმის უნივერსიტეტის კითხვებს აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნათია სირაბიძე პასუხობს.

— ქალბატონო ნათია, ზაფხულში ჩვენი რეგიონისგან განსაკუთრებულ კულტურულ ცხოვრებას მოელის არამარტო ტურისტი, არამედ ადგილობრივიც. რა იგეგმება ამ თვალსაზრისით ჩვენს ქალაქში?

— ბათუმი მიმზედველი ქალაქია არა მხოლოდ დასვენებისათვის, არამედ იგი თანდათანობით პოპულარული ხდება როგორც შავი ზღვისპირეთის კულტურული ცენტრი, სადაც მთელი წლის განმავლობაში იმართება საერთაშორისო გამოფენები, ფესტივალები და სხვასხვა ტიპის ღონისძიებები.

წელს განათლების, კულტურის და სპორტის სამინისტრომ ტურიზმის დეპარტამენტთან ერთად ღონისძიებათა ერთიან კალენდარზე დაიწყო მუშაობა. მთელი რეგიონის მასშტაბით დაგეგმილი ღონისძიებები თავს იყრის ტურიზმის დეპარტამენტის ოფიციალურ საიტზე www.gobatumi.com. ჰიტ-ბათუმის ფარგლებში თითქმის ყოველდღე ბათუმის ბულვარის კოლონადებთან გაიმართება ფოლკლორული კონცერტები, რადგან ტურისტებისთვის ჩვენი ფოლკლორი ყველაზე საინტერესო და მიმზიდველია. ივლისის თვეში დაგეგმილია ჯაზფესტივალი, რომელიც ამჯერად 10 დღის განმავლობაში ჩატარდება. კონცერტები ჩატარდება როგორც ქობულეთში, ასევე გონიო-კვარიათში. აქტიური ზაფხული გველის. ღონისძიებები გათვლილია როგორც ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე ტურისტებზე.

— ხელოვნების მიმართულებით რომელიმე ცნობილი სახის ჩამოყვანა ხომ არ იგეგმება?

— ერთ კვირაში ბათუმს როკ-ვარსკვლავები ეწვევიან, როგორებიცაა Dan McCafferty, Doogie White, Tim „Ripper“ owens, Brian Howe, რომლებიც ბათუმელ შემსრულებლებთან და ორკესტრთან ერთად ცნობილ ჰიტებს შეასრულებენ.

ასევე, ჯაზ ფესტივალის ფარგლებში ბევრი ცნობილი და საინტერესო მომღერალი ეწვევა ბათუმს: 15 ივლისი 2016 — ქუინსი ჯონსი & გლობალ გამბო ოლ სტარსი , 16 ივლისი 2016 — მა-

ილს ელექტრიკ ბენდი , 17 ივლისი 2016 — მის ლორენ ჰილი. 21 ივლისი 2016 — პროდიჯი , 22 ივლისი 2016 — Renegade Brass Band / ჯეიმი კალუმი , 23 ივლისი 2016 — ნიკ ვესტი / ქრის ბრაუნი , 24 ივლისი 2016 — მეისი გრეი.

04 აგვისტო 2016 გაიმართება ცნობილი პოპ მომღერლის და ელექტრონული მუსიკის ვარსკვლავის, ორეენ-ის კონცერტი, ბათუმის ჩოგბურთის კლუბში.

Loreen-მა, როგორც 2012 წელს ბაქოში გამართულ ევროვიზიის კონცერტზე გამარჯვებულმა, მსოფლიო აღიარება მოიპოვა შესრულებული იოგა ცეკვით და სიმღერით „Euphoria“. მომღერლის ამ ჰიტმა 1 ადგილი დაიკავა 21 სხვადასხვა ქვეყნის ჩარტებში. 1.2 მილიონზე მეტი გაყიდული ტირაჟით „Euphoria“ გახდა მსოფლიო კლუბების ფავორიტი სიმღერა. 2012 წელს ორეენ წარადგინეს შემდეგ დაჯილდოებებზე: MTW EUROPE MUSIC AWARD, (გაიმარჯვა, ნომინაციით: საუკეთესო შვედი შემსრულებელი); ROCKBJORNEN (აიღო პრიზი, როგორც საუკეთესო მუსიკოსმა ქალმა საუკეთესო სიმღერით); WORLD MUSIC AWARD.

— თეატრი, კინო, მუზეუმი — ამ ერთეულებს ზაფხულის ცხელ საღამოს ხშირად ჰყავთ სტუმრები. შესაბამისად, რა სიახლეებს სთავაზობენ ისინი სტუმრებს?

— ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მცირე სცენა აქტიურ და საინტერესო სპექტაკლებით ხვდება ერთგულ და ახალ მაყურებლებს.

თეატრის მიმართულებით ასევე დაგეგმილია მარჯანიშვილის თეატრის გასტროლი რეგიონებში — 30 ივნისი — ქობულეთი, 3 ივლისი — ხულო.

რეჟისორ ლევან წულაძის სპექტაკლის „როგორც გენებოთ“ პრემიერა 2012 წელს ლონდონში გაიმართა. მან უკვე მოასწრო სხვადასხვა ქვეყანაში საგასტროლო ტურნე და მაყურებლის და კრიტიკოსების აღიარებაც მოიპოვა. სპექტაკლს მიღებული აქვს გარდიანის ხუთი ვარსკვლავი და არაერთი ცნობილი კრიტიკოსის მიერ დაწერილი დადებითი რეცენზია. სპექტაკლს მუდმივად ყავს მაყურებელი თბილისში, მაგრამ საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, რომლებიც სხვადასხვა ქალაქში ცხოვრობენ, არ აქვთ საშუალება დაესწრონ ამ წარმოდგენას. მარჯანიშვილის თეატრმა გადაწყვიტა სპექტაკლით შემოიაროს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო, სვანეთი და სამცხე-ჯავახეთი. მარჯანიშვილის თეატრისთვის ქვეყნის ფარგლებში გასტროლები და ქართველი მაყურებლის აზრი ყველაზე მნიშვნელოვანი და გასათვალისწინებელია.

აჭარაში პროექტი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის და ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მხარდაჭერით ხორციელდება.

მერია გეგმავს გარე ეკრანის შეძენას, დაწყებულია შესაბამისი პროცედურები. ეკრანის შეძენის შემდეგ კიდევ ერთი თავისუფალი სივრცე შეემატება ქალაქს დასვენებისა და კინოს მოყვარულებისთვის.

მუზეუმები მზად არიან და მთელი ზაფხულის განმავლობაში ელოდებიან დამთვალიერებლებს, დაგეგმილია სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებები, დროებითი და პერსონალური გამოფენები. ასევე გონიოს მუზეუმის სერვისების პრეზენტაცია ივლისის თვეში და სხვა.

გაგრძელება მე-4 გვ. -ზე

როგორ კულტურულ ცხოვრებას გვპირდება აჭარის განათლების კულტურის და სპორტის სამინისტრო ზაფხულში

დასაწყისი მე-3 გვ. -ზე

— თქვენი აზრით, ზაფხულში რით არის ღირსშესანიშნავი აჭარა?

— ბათუმის მულტი აქტივობების საუკეთესო საშუალებაა ერთი დღის განმავლობაში შეგიძლიათ დაათვალიეროთ ბათუმის მთავარი ღირსშესანიშნაობები, ეწვიოთ მაღალმთიან აჭარას და ამავდროულად დააგემოვნოთ ადგილობრივი კერძები და აჭარის რეგიონში დამზადებული ღვინო, საღამოს კი განწყობისა და გემოვნების შესაბამისად შეარჩიოთ სასურველი კულტური ღონისძიება და ისიამოვნოთ დღის საუკეთესო დასასრულით.

— განათლება და კულტურა აჭარაში — რას იტყვით ამ ორი ცნების მნიშვნელობასა და განვითარებაზე ჩვენს რეგიონში თქვენ, როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე?

— საგანმანათლებლო და სფეროს განვითარებისკენ მიმართული პროექტები, რომლების მიმდინარე ზაფხულში იგეგმება:

1. აჭარის განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტროს დაფინანსებით მიმდინარეობს ტრენინგები და ვორკშოფები აჭარაში სოფლად მცხოვრები ტრადიციული რეწვის ოსტატების პროდუქციის განვითარების მიზნით სხვადასხვა მიმართულებით: კერძოდ, ხის მხატვრული დამუშავება, წნული, ქსოვა, ქარგვა, სამკაულების დამზადება და სხვა. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ტრენინგებზე დაყრდნობით შეიქმნება ტრადიციული რეწვის პროდუქციის განახლებული ხაზი (დიზაინი, ფუნქციური ჯგუფები) და მოეწყობა აღნიშნული პროდუქციის გამოფენა აგვისტოს თვეში.

2. 15 ივლისიდან დაიწყება პროექტი „Sreet.Art.ge“. საკმაოდ ხანგრძლივი პროექტია და წლის ბოლომდე გაგრძელდება. პროექტის მიხედვით: თანამედროვე ახალგაზრდა ფოტოგრაფებისათვის, ილუსტრატორებისათვის და გრაფიკოსებისათვის შეიქმნება მარტივი სივრცე, სადაც ისინი სახლიდან გაუსვლელად შეძლებენ ქალაქში გამოფენის მოწყობას. თავს გააცნობენ საზოგადოებას და მოახდენენ თავისივე შემოქმედების გაყიდვას პროექტის ფარგლებში შექმნილი „არტ-ბოქსების“, Web-გვერდის და სახელოსნო სტუდიის მეშვეობით. სახელოსნო აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით: 3 პრინტერი, ლაზერი გრავირებისათვის, პროექტორი, სხვა და სხვა დამხმარე ხელსაწყოებით. დამზადდება სპეციალური საგამოფენო 2 ზომის წყალგაუმტარი, კედელზე მისამაგრებელი თხელი ყუთები, რაშიც განთავსდება არტისტების ნამუშევრები. „არტ-ბოქსები“ იქნება განთავსებული 9 ლოკაციაზე, ბათუმის ქუჩებში (ცენტრალურ უბანში, ხალხმრავალ ადგილას). შეიქმნება Web-გვერდი სადაც არტისტები ნახავენ გამოფენების კალენდარს და შეეძლებათ მათი ნამუშევრები ატვირთონ სახლიდან გაუსვლელად ბაზაში. პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდება კალენდარის მიხედვით ვისი გამოფენა გაიმართება ქალაქის ქუჩებში და რა ლოკაციაზე. არტისტებს ექნებათ თავისი ნამუშევრების პორტფოლიო და შეეძლებათ Web-გვერდის დახმარებით გაყიდონ თავისი ნამუშევრები (პრინტ არტი).

— გვერდზე განთავსებული იქნება სპეციალური რუკა, რომლის მეშვეობითაც ყველა მსურველს შეეძლება იპოვნოს „არტ — ბოქსები“ და ინფორმაცია მისთვის საინტერესო მიმდინარე გამოფენების შესახებ.

3. ზაფხულის ტურისტულ სეზონზე აჭარის რეგიონში დაგეგმილია მრავალფეროვანი კულტურული თუ სპორტული პროექტები. წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებით, ვიზიტორთა აქტიურობა შეინიშნება სექტემბერშიც და ამიტომ მნიშვნელოვანია შემოდგომის ე.წ. „ხავერდოვან სეზონზე“ კულტურული ღონისძიებების გაგრძელება, რაც კიდევ უფრო გაახანგრძლივებს ტურისტულ სეზონს და გაზრდის რეგიონის მიმზიდველობას კულტურული ტურიზმის თვალსაზრისით.

აქედან გამომდინარე სამინისტროს მხარდაჭერით მიმდინარე წლის 1 ივლისიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში ეტაპობრივად გაიმართება კონცერტები ქალაქ ბათუმში, ქალაქ ქობულეთში და გონიო/კვარიათის ტერიტორიაზე. პროექტის ფარგლებში შერჩეული სამი ადგილობრივი ბენდის მონაწილეობით ჩატარდება 1 კონცერტი ქალაქ ბათუმში, 2 კონცერტი — ქალაქ ქობულეთში და 2 კონცერტი — გონიო/კვარიათში. გარდა ამისა, აღნიშნული პროექტის ფარგლებში შეიქმნება შერჩეული 3 ადგილობრივი ბენდის მარკეტინგული კონცეფცია, მომზადდება ვიდეო რეკლამები სატელევიზიო და ინტერნეტ სივრცისთვის — საშუალოდ 30 წამიანი ქრონომეტრაჟით, ასევე სტუდიურად ჩაიწერება თითოეული ბენდის თითო სიმღერა.

აღნიშნული პროექტი საშუალებას მისცემს აჭარის მცხოვრებლებსა და ჩამოსულ სტუმრებს შეხვდნენ და მოუსმინონ თანამედროვე ადგილობრივ ბენდებს, ხელს შეუწყობს აჭარის მოსახლეობისა და რეგიონში ჩამოსული სტუმრების კულტურულ ცხოვრებაში ჩართულობის დონის ამაღლებას, ახალგაზრდების შემოქმედებითი აზროვნების განვითარებას. მუსიკალური ბენდების წახალისებას და მათი ცნობადობის ზრდას, ტურისტებისათვის ბათუმის მიმზიდველობის დონის ამაღლებას.

4. 2016 წლის აგვისტოში, ქალაქ ბათუმში სამინისტროს დაფინანსებითა და მხარდაჭერით გაიმართება პრინტ ფესტივალი „LIFESTYLE“-ი, რომელიც ხელს შეუწყობს ამ დარგის ეფექტურ, შემოქმედებით ზრდა-განვითარებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას, საერთაშორისო კონტაქტების დამყარებას, ქართული თანამედროვე ბეჭდვითი ხელოვნების პოპულარიზაციას და შესაძლებლობების წარმოჩენას საერთაშორისო მასშტაბით. ფესტივალი მოიცავს თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგებს, როგორიცაა სერიგრაფია, ოფორტი, შოლკოგრაფია, ლითოგრაფია და სხვა.

პრინტ ფესტივალი „LIFESTYLE“ — საშუალებას იძლევა პროექტი ჩატარდეს როგორც საგამოფენო სივცეში, ასევე გასცდეს მის გარგლებს. ფესტივალის კომისია გამოავლენს 20 საუკეთესო ნამუშევარს, რომელიც დაიბეჭდება დიდი ფორმატით — ბანერებზე და ინტეგრირებული იქნება საზოგადოების თავშეყრის ადგილებზე, ზღვის სანაპიროებზე კაფეებში, სკვერებში, საცხოვრებელ და გასართობ სივრცეებში. ფესტივალის ძირითადი და პარალელური პროექტები ჩატარდება ბათუმში. ფესტივალის საუკეთესო კოლექცია შემდგომში მოივლის თბილისს და საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებს. ასევე მონაწილეობას მიიღებს საერთაშორისო პროექტებში, პარალელურად გაიმართება ვორკშოპები, პრინტის, კერამიკის და ტექსტილის სინთეზის პრეზენტაციები, სადაც საზოგადოებას მიეცემა ჩართვის საშუალება.

ფესტივალის მონაწილე ქვეყნებია: საქართველო, საქართველო წარმოადგენს 3 პროექტს — თბილისი, აჭარაში მოღვაწე მხატვრები და საქართველოს კიდევ ერთი რომელიმე რეგიონი, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა, გერმანია, თურქეთი, ინგლისი, აშშ.

გავუფრთხილდეთ გარემოს და გარემოც გაგვიფრთხილდება ჩვენ!

გარემოსდაცვითი განათლება, პრობლემები და პერსპექტივები

დღეს, თითოეულ ჩვენგანს მრავალი საინფორმაციო წყარო გვაუწყებს, რომ გარემო დაბინძურებულია, კრიზისული მდგომარეობაა, დაბინძურებულია ატმოსფერული ჰაერი, წყალი და ნიადაგი. ამას თავადაც კარგად ვგრძნობთ. ვხედავთ, სამყარო ჩვენს გარშემო რა საოცრად შეიცვალა. ბაღებისა და სკვერების ნაცვლად ყველგან ავტოსადგომია; ბუნების წიაღიდან ადამიანი მრავალსართულიანი შენობების ტყვეობაში აღმოჩნდა; ხშირად საყოფახცოვრებო თუ ქიმიური წარმოების ნარჩენები პირდაპირ მდინარეებში ჩაედინება... პოლიეთილენის პარკები ლამის ჩვენი ყოველი

ხისა და ბუჩქის მუდმივი მოსართავია... ადამიანები დაუნდობლად ჩეხავენ ნარგავებს — ზოგს მშენებლობის გამო, ზოგს საწვავად ან თუნდაც იმიტომ, რომ გადაამუშაონ. კარგად ვგრძნობთ კლიმატის ცვალებადობას, ჭარბ ნალექს, გვალვიან დღეებს, წლის სეზონურობის დაკარგვას, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანთა ჯანმრთელობას, ბიომრავალფეროვნებას, გაიზარდა ბუნებრივი კატასტროფების ალბათობა და, შესაძლოა, ამ ყველაფერმა საბოლოოდ თვით ჩვენს არსებობასაც შეუქმნას საფრთხე.

ჩვენ კი რატომლაც მაინც გვიკვირს, რატომ შეიცვალა ასე გარემო? რატომ აღარაა ნიადაგები მოსავლიანი? რატომ აღარ არის ადამიანი დღეს ისეთი ჯანმრთელი, როგორიც თუნდაც გასულ საუკუნეში იყო...

აღნიშნული პრობლემა გლობალურია და მასზე ფიქრი გასული საუკუნიდან დაიწყო, როცა სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების, მოსახლეობის რაოდენობის მატების პარალელურად ინტენსიური გახდა საზოგადოების ზემოქმედება გარემოზე, ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებაზე. დაიწყო ბუნებრივი რესურსების არარაციონალური ხარჯვა, ჰაერის, წყლისა და გარემოს სხვადასხვა წარმოშობის ნარჩენებით დანაგვიანება და დაბინძურება.

მიუხედავად პრობლემის გლობალური ხასიათისა, ის მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ქვეყნის განვითარების დონეზე. განვითარების სხვადასხვა ეტაპზე მყოფ ქვეყნებს გარემოსდაცვითი სხვადასხვა პრობლემა შეიძლება ჰქონდეთ და მათ მოსაგვარებლადაც სწორედ სხვადასხვა ღონისძიებების გატარება დასჭირდეთ. რაც უფრო ინდუსტრიულად განვითარებულია ქვეყანა, მით მეტია ნარჩენის წარმოქმნის, ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების რისკი, თუმცა მათ ნარჩენების მენეჯმენტისათვის თანამედროვე ტექნოლოგიებიც გააჩნიათ. ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, გარემოს მეტი ზიანი ადგება, ხდება ბუნებრივი რესურსის გადამეტებული მოხმარება, არ არსებობს უნარჩენო ან მცირენარჩენიანი ტექნოლოგიები, არ მოქმედებს ნარჩენების მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომა, რაც სერიოზულ უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნების ეკოლოგიურ მდგომარეობაზე. საქართველო, მსოფლიოს მრავალი განვითარებადი ქვეყნის მსგავსად, მეტად მწვავედ დგას ამ პრობლემების წინაშე.

ამ პატარა წერილში მსურს, ყურადღება გავამახვილო არსებული პრობლემისადმი საზოგადოების დამოკიდებულებაზე, გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელობაზე, ახალგაზრდობის ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებაზე და არა თვით პრობლემის არსსა თუ მის გამომწვევ მიზეზებზე.

გარემოსდაცვითი განათლება უპირობოდ მნიშვნელოვანია. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ეკოლოგია შეუერთდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. შემდეგ კი ის უკვე დაუკავშირდა გარემოსდაცვით დისციპლინებს. მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან ადამიანებმა დაიწყეს „დედამიწის დღის“ (22 აპრილის) აღნიშვნა, 1972 წელს კი გაერომ სტოკჰოლმის კონფერენციაზე „უმან ნვირონმენტ“ მკაფიოდ დაფიქსირა თავისი პოზიცია გარემოსდაცვითი განათლების საჭიროების შესახებ. ინტერესი განათლებისადმი, როგორც მდგრადი განვითარების საშუალებისადმი, გაიზარდა უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მისი პოტენციალის გაცნობიერებას.

ზოგადად, საქართველოს გარემოსდაცვითი მეცნიერებების სწავლებას ყურადღება 1997 წელს მიექცა. თბილისში პირველად ჩატარდა კონფერენცია — „გარემოსდაცვითი განათლება“, სადაც მიღებული იქნა „თბილისის დეკლარაცია“, რომელიც თავისი შეინაარსით ხაზს უსვამდა გარემოსდაცვითი განათლების საჭიროებას. კონფერენციის წინაპირობა იყო გარემოს დაცვა და მდგარდი განვითარება. მოგვიანებით, გარემოსდაცვითი განათლების საკითხი აღიწერა, როგორც სახელმწიფო პროგრამის ნაწილი და განისაზღვრა გარემოსდაცვითი განათლების მულტიდისციპლინური ხედვა, რომელიც ადამიანებს ფასეულობების, ღირებულობების შეცვალასა და მოსახლეობის გარემოს დაცვისა და გაუმჯობესების პროცესებში ჩართვას ისახავდა მიზნად.

თანამედროვე გამოწვევების საპასუხოდ, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განვითარებული იქნა 2012 წელს, და ის წარმოადგენს „სახალხო გარემოსდაცვითი განათლების“ პროგრამის გაგრძელებას. „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის: 2012-2014. ეროვნული სტრატეგია, სამოქმედო გეგმა“, მომზადებული იქნა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობის საფუძველზე. მისი მიზანია მოახდინოს გარემოსდაცვითი განათლების ორგანიზება ისე, რომ მოქალაქეებს შესძინოს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობა, შესაბამისი ცოდნა, უნარები რათა ყოველი მათი ქმედება იყოს გააზრებული და დამყარებული გარემოსდაცვით პრინციპებზე. ის ითვალისწინებს გარემოსდაცვითი ელემენტარული ჩვევების ჩამოყალიბებას საბავშვო ბაღის ასაკიდან, უმთავრესი საკითხებისა და პრობლემების განხილვას ზოგადი და პროფესიული განათლების დაწესებულებებში, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში გარემოსდაცვითი განათლების თემატიკის გაძლიერებას, არაპროფილური მიმართულების პროგრამებში გარემოსდაცვითი დისციპლინების სწავლებას (ჰტტპ://მოე.გოვ.გე/ფილეს/შამინისტროს%20რიორიტეტები/დუცატიონ.პდფ).

2014 წელს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ წარმოებულ კვლევაში „გარემოსდაცვითი განათლების შეფასება საქართველოში“ აღნიშნულია, რომ საქართველოში რეგისტრირებული 57 უმაღლესი სასწავლებელიდან 28 უნივერსიტეტში ისწავლება გარემოსდაცვითი საგნები ბაკალავრიატში. გარემოსდაცვითი სპეციალობების გარდა, საგნები იკითხება 120 სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამაზე.

გაგრძელება მე-12 გვ. -ზე

აჭარა წლის ნებისმიერ დროს გელით

მამუკა ბერძენიშვილი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე

აჭარაში ტურისტთა რაოდენობას უკვე ითვლიან. საინტერესოა რა სიახლეებით ხვდება დამსვენებლებს ჩვენი რეგიონი, რეგიონში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება თუ არა კონკრეტული პროექტები — ამ და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის თავმჯდომარე ბატონი მამუკა ბერძენიშვილი ესაუბრება.

— რა სიახლეებით შეეგება ტურისტულ სეზონს ჩვენი რეგიონი?

— ტურისტულ სეზონს რეგიონი წელს სიახლეებით ხვდება როგორც ტურისტული პროდუქტების მრავალფეროვნების, ასევე სერვისის გაუმჯობესების თვალსაზრისით. წელს, რეგიონის სტუმრებს აჭარაში ტურიზმის დეპარტამენტის მიერ რეკომენდებული სასტუმროები და კვების ობიექტები დახვდებათ. ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ — სტუმრებისთვის აღნიშნული ობიექტებში უსაფრთხოების, სანდასუფთავების, ჰიგიენისა და მომსახურების სტანდარტების გარანტიას გულისხმობს.

გარდა ამისა, რეგიონის სტუმრებს საშუალება აქვთ წელს მაღალმთიანი აჭარის ახალი ტურისტული პროდუქტებით ისარგებლონ. მირვეთის ველო მარშრუტი, მაჭახელას ისტორიულ-კულტურული მარშრუტი, ხიხანის სათავგადასავლო მარშრუტი და ქედა-შუახევის გასტრონომიული მარშრუტები ეკოტურიზმის მოყვარულთათვის — აჭარის აქამდე უცნობი ტურისტული პროდუქტების აღმოჩენის საშუალებას იძლევა. მარშრუტების შეძენა და მათ შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია განახლებულ ტურისტულ-საინფორმაციო ცენტრებში.

სიახლეა რეგიონში სასტუმრო კომპლექსების გახსნის მხრივაც. ზაფხულში ბათუმს არაერთი დაბალბიუჯეტიანი და მაღალი კლასის სასტუმრო და განთავსების ობიექტი შეემატება, რაც 700-ზე მეტ სასტუმრო ნომერს (1400-მდე განთავსების ადგილი) ითვალისწინებს.

საჰაერო ფრენების გაზრდილი რაოდენობით ხვდება ტურისტულ სეზონს ბათუმის საერთაშორისო აეროპორტიც. წელს, ბათუმის მიმართულებით 5 ახალი ავიკომპანია შეასრულებს ჩარტერულ და რეგულარულ რეისებს ისრაელიდან, ყაზახეთიდან და არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდან. მათ შორის თელავივიდან ბათუმის მიმართულებით წელს, პირველად ავიაკომპანიები „Israir Airlines“ და „El Al Israel Airlines“ ასრულებს ჩარტერულ რეისებს. ისრაელიდან ამას ემატება ავიკომპანია „რკია“, რომელიც წინა წელს განხორციელებული სამთვიანი ფრენების ნაცვლად წელს 10 თვის განმავლობაში შეასრულებს პირდაპირ რეისებს თელ ავივსა და ბათუმს შორის. ახალი ავიაკომპანიები შემოდის ყაზახეთიდანაც. ივნისში, ფრენების განხორციელებას ყაზახეთიდან ორი ახალი ავიაკომპანია „Scat“ და „Skybus“ იწყებს, მათ შორის „Skybus“ ყაზახეთის 8 მსხვილი ქალაქიდან. ფრენები იწყება არაბეთის გაერთიანებული საამიროებიდანაც. ივლისიდან, ჩარტერულ რეისებს შარჟა-ბათუმი-შარჟა ირ რაბია შეასრულებს. გარდა ამისა, ახალი მიმართულებები დაემატა Ural Airline-საც, რომელიც ჩარტერულ რეისებს ეკატერინგბურგიდან და სამარადან ასრულებს. გასული წლის მსგავსად წელსაც შეასრულებს ფრენებს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ პოლონეთიდან მოზიდული ყველაზე მსხვილი ტურ-ოპერატორი „Rainbow Tours“.

განახლებული ინფრასტრუქტურით ხვდება სეზონს რეგიონის ყველაზე ვიზიტირებული ტურისტული ადგილები: ბათუმის ბულვარი, ბათუმის ბოტანიკური ბაღი, ბათუმის დელფინარიუმი.

2016 წლის ზაფხული კულტურული და გასართობი პროგრამების მრავალფეროვნებით გამორჩეული იქნება. ქალაქი უმასპინძლებს ყველა იმ საერთაშორისო ღონისძიებას, რომელიც ბათუმთან ასოცირდება: შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალი, საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი BIAFF, ანიმაციური ფილმების ფესტივალი „თოფუზი“, კლასიკური მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი. სეზონთან დაკავშირებით, ივნისიდან კოლონადებთან სუხიშვილების კონცერტით გაიხსნება პროექტი „ჰით ბათუმი“, რომლის ფარგლებშიც ბათუმში სხვადასხვა ბენდების მონაწილეობით კონცერტები, ფოკლორული შოუები, თეტრალური დღეები და ფესტივალები გაიმართება. 7 ივნისს კი საოცრებათა პარკში Checkin Georgia-ს პროგრამის ფარგლებში აჭარა პოპ როკ ჯგუფის „Maroon 5“-ის გრანდიოზულ კონცერტს უმასპინძლებს.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი სამიზნე ქვეყნებში ჩატარებული აქტიური პიარ და მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად, რეგიონში ტურისტების მატებას განსაკუთრებით 10 სამიზნე ქვეყნიდან ელოდება.

— თქვენი აზრით, რატომ უნდა ჩამოვიდეს დამსვენებელი ჩვენთან?

— აჭარა თავისი მრავალფეროვანი ბუნებითა და შავი ზღვის ულამაზესი პლაჟებით, ნამდვილად მიმზიდველი ადგილია ტურისტებისთვის წლის ნებისმიერ დროს. რა თქმა უნდა, ძირითადი დატვირთვა მაინც ზაფხულზე მოდის. რეგიონის საზღვაო კურორტები და მუდმივად განვითარებადი ტურისტული ინფრასტრუქტურა საუკეთესოა ზღვაზე დასასვენებლად. აქტიური დასვენების მსურველთათვის საუკეთესო კი ბათუმია, სადაც არაერთი საინტერესო გასართობი, კულტურული და ტურისტული ობიექტია განლაგებული. ბუნებისა და ეკოტურიზმის მოყვარულთათვის განსაკუთრებით საინტერესო აჭარის ბუნებაა, სადაც არაერთი საინტერესო ეკო ტურისტული, სათავგადასავლო, ღვინისა და კულინარიული მარშრუტების განხორციელებაა შესაძლებელი, როგორც ზაფხულში ასევე გაზაფხულსა და შემოდგომაზე. რაც შეეხება ზამთარს, ამ მხრივ აჭარას ულამაზესი სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი“ გააჩნია, რომელიც განსაკუთრებით საინტერესოა მოთხილამურეებისთვის. გარდა იმისა, რომ კურორტი ულამაზესი ბუნებითა და პეიზაჟებით გამოირჩევა საქართველოში, მას გააჩნია რეგიონში ყველაზე გრძელი სათხილამურო ტრასა და გრძელი ტურისტული სეზონი. რაც შეეხება ჩვენს რეგიონში ჩამოსულ რუს ტურისტებს, ისინი ყველაზე დიდ ინტერესს საზღვაო ტურიზმისა და ეკოტურიზმის მიმართ იჩენენ, თუმცა არც კულინარიისა და ღვინის მიმართ არიან გულგრილნი.

— რა ტიპის პიარ და მარკეტინგული ღონისძიებები ჩაატარა ტურიზმის დეპარტამენტმა რეგიონში ტურისტების მოსაზიდად და ძირითადად რომელი ქვეყნებიდან ელოდებით ტურისტებს?

— აჭარაში ტურისტების მოზიდვის მიზნით მარკეტინგული და პიარ კამპანიები აქტიურ ფაზაშია 10 სამიზნე ქვეყანაში (თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, პოლონეთი, ყაზახეთი, ბელორუსია, ისრაელი, ლატვია, უკრაინა, რუსეთი). შესაბამისად, ტურისტების ზრდასაც ამ ქვეყნებიდან ველოდებით. პიარ და მარკეტინგული ღონისძიებები ონლაინ რეკლამებს, გარე რეკლამებს (ბილბორდები, ლაითბოქსები, ბრენდირებული ავტობუსები), რეგიონის ტურისტული პოტენციალის შესახებ სპეციალური გადაცემების მომზადებას, რკინიგზისა და ავიაკომპანიების საბორტო ჟურნალებში სარეკლამო სტატიების განთავსებას, ასევე პრესს და ინფო ტურების ორგანიზებას ითვალისწინებს. სარეკლამო კამპანიები ძირითადად, სამიზნე ქვეყნების დედაქალაქებსა და ცენტრალურ ქალაქებს მოიცავს, მასში 30-მდე ქალაქია ჩართული.

წელს, სამიზნე ქვეყნებიდან რეგიონში პრესტურების ორგანიზებისას აქცენტს პოპულარული ტელეარხების გადამღები ჯგუფების მოწვევაზე ვაკეთებთ. ამ გადაცემებს მილიონობით მაყურებელი ჰყავს, რომელთა გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენას თუ სად გაატარონ ზაფხული მსგავსი ტიპის სამოგზაურო გადაცემებიც ახდენს. ტელეწამყვანები, აჭარაში მოგზაურობისას მაყურებლებს თავიანთ შთაბეჭდილებებს უზიარებენ და რეგიონში დასვენებისკენ მოუწოდებენ. მთლიანობაში 2016 წელს დეპარტამენტი 30-მდე პრესტურს გაუწევს ორგანიზებას, რომლის ფარგლებშიც რეგიონის შესახებ გადაცემებს, ტელერადიო სიუჟეტებს და სტატიებს 200-მდე ჟურნალისტი მოამზადებს,

დღემდე, რეგიონის ტურისტული პოტენციალის უკვე მოხვდა „Моя планета“-ს, „ПЯТНИЦА“-ს, CNN Turki-ს, ATV-ს, TV3-ს,

Travel Channel, Channel 10 da Good Life Channel-ს ობიექტივში.

— რეგიონში მომსახურების გაუმჯობესების მიზნით რა პროექტები ხორციელდება?

— აჭარაში ტურიზმის განვითარების ფეხდაფეხ იზრდება ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, რესტორნების, გასართობი თუ კულტურული ობიექტების რაოდენობა. მიმდინარე წლის ბოლომდე რეგიონს 2000-მდე განთავსების ადგილი შეემატება, რაც წინა წელთან შედარებით 12,68 პროცენტიან მატებას გულისხმობს. რეგიონს ნამდვილად შეუძლია იამაყოს იმ ბრენდული და მაღალი კლასის სასტუმროებით, რომლებიც აჭარაში წლიდან წლამდე იხსნება და ტურისტებს არჩევანის კარგ საშუალებას აძლევს. თუმცა გასული წლებისგან განსხვავებით წელს, აჭარაში ჩამოსულ უცხოელ თუ შიდა ტურისტებს ხარისხის ნიშან მინიჭებული სასტუმროები და რესტორნები მოემსახურება. ხარისხის ნიშანი „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტი მიერ“ ტურისტული ობიექტის სტუმრებისთვის უსაფრთხოების, სანდასუფთავების, ჰიგიენის, ტექნიკური და მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების არსებობას გულისხმობს.

პროექტს „რეკომენდებულია ტურიზმის დეპარტამენტის მიერ“ — რომელსაც ვახორციელებთ, დიდი მნიშვნელობა აქვს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ეს დასაწყისია იმ დიდი გამოწვევების, რომელმაც საბოლოო ჯამში დიდი მნიშვნელობა უნდა შეიძინოს ტურიზმის სფეროს მომსახურების ხარისხის განვითარებაში.

პროექტში ჩართვა ნებისმიერ დაინტერესებულ განთავსების და კვების ობიექტს შეუძლია, ეს გახლავთ ნებაყოფლობით, თუმცა პროექტში ჩართვა ამავდროულად გულისხმობს პასუხიმგებლობის აღებას იმ ძირითად კრიტერიუმებზე, რომლებიც პროექტის ფარგლებში იქნა შემუშავებული. აღსანიშნავია, რომ აქამდე სახელმწიფო დაწესებულებას არასდროს განუხორციელებია ტურიზმის მიმართულების მსგავსი სახის პროექტი.

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი რეგიონში სერვისის გაუმჯობესების კუთხით ბოლო წლებია აქტიურად ეწევა სექტორში დასაქმებული კადრების გადამზადებას. სულ 2013 წლიდან დღემდე აჭარის რეგიონის კერძო ტურისტულ ობიექტებში (განთავსების და კვების ობიექტები) 955 ადამიანი გადამზადდა, წლის ბოლომდე კი ეს ციფრი 1300-მდე გაიზრდება. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტში მიმდინარე წლიდან მოქმედებს სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრი, სადაც ტურიზმის დარგში დასაქმებულ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია გაიაროს ტრენინგი მისთვის საჭირო თემაზე. ჩვენ ერთდღიან ტრენინგებს ამ ეტაპისათვის სასტუმროების, რესტორნებისა მოქმედი თანამშრომლებისთვის ყოველკვირეულად ვატარებთ. მიმდინარე წელს, სატრენინგო-საკონსულტაციო ცენტრში 25-მდე ტრენინგი ჩატარდა, რის შედეგადაც ტურიზმის სექტორში არსებული სტანდარტების შესახებ 200-მდე განთავსების და კვებისა მოქმედი თანამშრომელი გადამზადდა. პირველ კვარტალში ტრენინგები ძირითადათ განთავსების ობიექტების ადმინისტრატორებს, რეზერვაციის სამსახურის თანამშრომლებს, კვების ობიექტების მენეჯერებს და მიმტანებს ჩაუტარდათ. ასევე ონლაინ დაჯავშნების, საკვები პროდუქტების ინსპექტირების, სარესტორნო ბიზნესის მართვის, სერვისის ხარისხის გაუმჯობესების, სახანძრო უსაფრთხოების და პიარ კომუნიკაციების თემატიკის შესახებაც ჩატარდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ტრენინგი-სემინარი. წლის ბოლომდე კი დეპარტამენტში 30-მდე ტრენინგია დაგეგმილი, რომლის ფარგლებშიც 300-მდე ადამიანის გადამზადებას ვგეგმავთ. ეს მუდმივი პროცესია და ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებული კადრების დატრენინგებას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი მომავალშიც აქტიურად გააგრძელებს.

1 ივნისი–ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე უნივერსიტეტში საზეიმოდ აღინიშნა

დღეს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ბათუმის საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს უმასპინძლა. უნივერსიტეტის ეზოში 500-მდე აღსაზრდელმა სპეციალურად მომზადებული ცეკვისა და სიმღერის ნომრები წარმოადგინა. სხვადასხვა სახის შეჯიბრებებთან და სპორტულ აქტივობებთან ერთად, მონაწილეებს ფერადი საღებავებით საყვარელი ზღაპრის გმირების სახეზე მოხატვა შეეძლოთ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე პატარებს რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მერაბ ხალვაშმა მიულოცა, მათ სრულფასოვანი განათლების მიღება და ბედნიერი მომავალი უსურვა.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საბავშვო ბაღების გაერთიანებას შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ჩატარდა, რომელიც ერთობლივი პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს.

ღონისძიების დასასრულს, თითოეულ პატარას უნივერსიტეტის ადმინისტრაციისგან საჩუქრად ნაყინი გადაეცა.

„ვეფხისტყაოსნის“ გადაწერისა და ქართული კალიგრაფიის კონკურსი

17 ივნისს, საქართველოში „ვეფხისტყაოსნის“ საჯარო კითხვის დღესთან დაკავშირებით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის საჯარო კითხვა და ქართული კალიგრაფიის გამოფენა-კონკურსი გაიმართა. გამოფენაზე სტუდენტების, პროფესორებისა და ადმინისტრაციის მიერ გადაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ სტროფები და პოემის თემატიკაზე შესრულებული ნახატები გამოიფინა.

კონკურსის ფარგლებში „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა ენაზე საჯარო კითხვა გაიმართა, რომელშიც ქართველ სტუდენტებთან ერთად ინდოელი სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. კალიგრაფიის კონკურსში გამარჯვებულები ფარული კენჭისყრის შედეგად გამოვლინდნენ. პირველი ადგილი ჰუმანიტარული ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტს დარიკო შენგელიას ერგო და საჩუქრად „ვეფხისტყაოსნის“ ორენოვანი გამოცემა გადაეცა, დანარჩენ მონაწილეებს კი ფაბლაბ ბსუ-ში დამზადებული შოთა რუსთაველის მედალიონები.

„ვეფხისტყაოსნის“ გადაწერისა და ქართული კალიგრაფიის კონკურსი შოთა რუსთაველის 850 წლისთავს და საიუბილეო წელთან დაკავშირებით იუნესკოს მიერ მსოფლიოში შოთა რუსთაველის წლად გამოცხადებას.

მოცვი – სასარგებლო კულტურაა

მოცვი მარადმწვანე ან ფოთოლმცვივანი ნახევრად ბუჩქოვანი ან ბუჩქნარი კენკროვანი კუტურაა.

შემცველობა. მოცვის ნაყოფი შეიცავს შაქრებს (გლუკოზა, ფრუქტოზა), კატეხინებს, პექტინებს, მთრიმლავ ნივთიერებს, ვაშლის, ლიმონის, რძის მჟავეებს, ფლავიონიდებს, ასკორბინის მჟავას, B, C, D ვიტამინებს და სხვა სასარგებლო ნაერთებს.

გამოყენება. მოცვის ნაყოფი მომჟავო ტკბილია,იჭმევა ნედლად და ამზადებენ მურაბებს. აქვს სამკურნალო დანიშნულება, კერძოდ ცოცხალი ნაყოფი აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას,ამახვილებს მხედველობას, აცხრობს რევმატიზმს და სხვადასხვადა ანთებით პროცესებს. ნაყოფისა და ფოთლის ნაყენი კი გამოიყენება დიაბეტის, შარდკენჭოვანი პათოლოგიის, თვალების ანთებითი პროცესების და სხვა დაავადებების სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის.

გავრცელებული სახეობები. საქართველოში გავრცელებულია მოცვის ოთხი სახეობა: მთის, ლურჯი, წითელი და კავკასიური მოცვი.

ბიოლოგიური თავისებურებანი. მოცვის კულტურა (ველური ფორმა), ნაკლებად მომთხოვნია გარემო პირობებისადმი. იგი ყველა ტიპის ნიადაგზე ხარობს, მაგრამ მაქსიმალურ მოსავალს იძლევა მჟავე ნიადაგებზე. გარეულ პირობებში იგი ხარობს მწირ, ქვაღორღიან და ქვიშნარ ნიადაგებზეც. ნაკლებ მომთხოვნია სინათლისა და ტენის მიმართ. გამოიჩევა ზედაპირული ფესვთა სისტემით და ყინვაგამძლეობით. იტანს 20-25°C ყინვას. დღეისათვის მსოფლიოში გაკულტივირებული ჯიშებიდან ყველაზე მეტი გავრცელება ჰპოვა ლურჯი მოცვის სახეობამ. მისი ნერგების გამოყვანა-გამრავლება ხდება უჯრედის კულტურის წესით (სინჯარაში) ლაბორა-ტორიულ პირობებში. ამ მეთოდით მიღებული ლურჯი მოცვის ჯიში საკმაოდ მომთხოვნია გარემო პირობებზე. მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის და მაღალი მოსავლის მისაღებად ნიადაგის მჟავიანობა pH უნდა იყოს 4,0-5,0, ნაკვეთი კარგად დრენაჟირებული, გაფხვიერებული, განათებული და ტენით უზრუნველყოფილი. ამიტომ მისი კულტივირება საკმაოდ წარმატებით შეიძლება დასავლეთ საქართველოს შავი ზრვისპირეთის რეგიონებში ადრე არსებული ჩაის პლანტაციების ნამყოფ ფართობებზე.

მოცვის ჯიშები. მსოფლიოში დღეისათვის კულტივირებული და გავრცელებულია ლურჯი მოცვის შემდეგი ჯიშები: ბლუკრიპი, ლეგასი, ბერკლი, პატრიოტი, ბრიჯიდა, დიუკი, სანრაისი, სპარტანი, ტორო, ელიზაბეტ, ერლი ბლუ, ბლუგოლდი, მისტი, ჩანდლერი, შანტეკლერი, ონილი, რეკა. აღნიშნული ჯიშების ძირითადი აგრობიო-ლოგიური მაჩვენებლები ლიტერატურული მონაცემებით წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში. ამ მახასიათებლებითა და სხვა დამატებითი ნიშანთვისებების მიხედვით ჩვენს პირობებისათვის შერჩეული და რეკომენდირებულია

ორი ჯიში: ლეგასი და ბლუკროპი.

მოცვის ბაღის გაშენება. პლანტაციის გაშენებამდე ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ნაკვეთის სწორად შერჩევას და მის მომზადებას. გაშენებამდე 1-2 წლით ადრე ნია-დაგი უნდა მოიხვნას 40-50 სმ-ის სიღრმეზე. შემდეგ ჯვარედინალურად გადაიხვნას 30-35 სმ-ის სიღრმეზე, დაიფარცხოს და დაიგეგმოს. ლურჯი მოცვის გაშენება, როგორც წესი ხდება ბაზო-კვლევის (სფერული) სისტემით. რიგთაშორისებში დაშორების მანძილი უნდა იყოს 3-3,2 მ. ხოლო რიგებში მცენარეთა შორის დაშორება 0,9-1,2 მ. ასეთი კვების არის გათვალისწინებით ერთ ჰა-ზე საჭიროა 2800-3300 ძირი ნერგი.

მოვლა-პატრონობა. ასეთნაირად გაშენებულ მოცვის პლანტაციებში პირველ სამ წელიწადს მცენარის გამოკვება ხდება წინასწარ მომზადებული მინერალური სასუქების ნაზავით. მოცვის ბუჩქის ირგვლივ ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია 2-3 სმ-ის სიღრმეზე მეტად, რათა ფესვთა სისტემა არ დაზიანდეს. ახალ მოზარდ ბუჩქს რეგულარულად სხლავენ, ხოლო მესამე წლიდან ნაკლები ინტენსივობით. სრულ მსხმოიარობაში შესულ ბუჩქებს სხლავენ ისეთნაირად, რომ ბუჩქზე მივიღოთ თანაბრად განაწილებული საყვავილე ყლორტები. ამისათვის ბუჩქს აცლიან დაბალ და სუსტ ნაზარდებს, ასევე დაავადებულ და ფიზიკურად დაზიანებულ ტოტებს. ტოტები, რომლებიც წლების განმავლობაში მსხმოიარობს უტარდებათ პინცირება იმ გაანგარიშებით, რომ თითოეულ ასეთ ტოტზე დარჩეს 4-6 საყვავილე კვირტი. ბუჩქებზე ასეთ ტოტებს იყენებენ 4-6 წლის განმავლობაში, ხოლო შემდეგ ხდება მათი ჩანაცვლება ახალი მოზარდი ტოტებით. მოცვი სრულ მსხმოიარობას აღწევს 6-10 წლის ასაკში.

მავნებელ-დაავადებასთან ბრძოლის ღონისძიებანი. როგორც ბევრი სხვა კენკროვანი მცენარე მოცვის კულტურაც ხშირად დაავადებების გავრცელების ობიექტი ხდება. მასზე ხშირად შეიძლება გავრცელდეს ისეთი დაავადებები, როგორიცაა მონილიოზური სიდამპლე, ყლორტების ფომოფსისური ჭკნობა, ნაცრისფერი სიდამპლე, შტამბის კიბო და ყლორტის წვეროების ხმობა. წვიმიან და ნესტიან პირობებში კიდევ შესაძლებელია განვითარდეს ნაცრისფერი ობი. ყველა ამ დაავადებების თავიდან ასაცილებლად მცენერეების შესხურება ხდება ისეთი ფუნგიციდებით, როგორიცაა ტოფსინი, უპარენი, სპილენძის ქლორჟანგი, კუპროზანი და სხვა. მავნებელ-ტაგან მოცვის ბუჩქებს აზიანებს აბრეშუმმხვევია, ფოთოლმხვევები, ბუგრი, ფარიანები და მაისის ხოჭოს მატლები. მათ წინააღმდეგ გამოიყენება ყველა ხელთარსებული ინექტიციდი იმ დოზითა და ჯერადობით, როგორც ეს აგროღონისძიებითა და რეკომენდაციებით არის გათვალისწინებული.

მოსავლის აღება და დაბინავება. მოსავლის აღების დაბინავება დამოკიდებულია ჯიშზე. როგორც წესი მისი არება იწყება ივნისი შუა რიცხვებიდან და გრძელდება ივლის-აგვისტოში. მოსასვალს იღებენ ხელით მაკრატლის გამოყენებით. სრულ მსხმოიარობაში შესული ერთი ბუჩქი ლურჯი მოცვისაგან შეიძლება მივიღოთ 5-6 კგ. ნაყოფი. მოკრეფილ ნაყოფს ათავსებენ სპეციალურ პოლიმერულ ყუთებში და ინახავენ 2-4°C ტემპერატურაზე. შემდგომში ახდენენ მის შოკურ გაყინვას და რეალიზაციას.

გიორგი ჯინჭარაძე
ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის სატყეო საქმის მესამე კურსის სტუდენტი, უნივერსიტეტის თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი

ჟურნალი „ფიროსმანი“ და შენოლ თაბანის კლარჯული ქრონიკები

ბსუ-ს პროფესორები მამია ფაღავა და მაია ბარამიძე შენოლ თაბანთან ერთად ზედა მაჭახელში

თურქეთის ქართველთა თვითშემეცნება კვლევა თანამედროვე ქართველოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა: თუ რა მოხდა, რა უბედურება დატრიალდა საქართველოს თავს, დიახაც საინტერესოა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა, როგორ მოხდა და რაც მოხდა, იმან რა კვალი დატოვა იქაურთა თუ აქაურთა სულში. ეს კვალი ზოგჯერ თვალსაჩინოა, ზოგჯერ — დაფარული. ამ დაფარულში ჩახედვა უფრო საფრთხილოა. შესაძლოა სასურველის რეალობად წარმოდგენის ცდუნებამ სძლიოს მკვლევარს, ან პირიქით, მკაცრმა რეალობამ დათრგუნოს. ცოცხალი კონტაქტები ხალხთან, უბრალო, მშრომელ მოსახლეობასთან ურთიერთობა — დაკვირვების საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ არანაკლებ საინტერესოა თურქეთის ქართველთა მხატვრული თუ პუბლიცისტური შემოქმედება.

და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ თურქეთის ქართველთა ეროვნული მუხტის მატარებელი პუბლიცისტიკა გაჩნდა მას შემდეგ, რაც 1977 წელს ახმედ მელაშვილმა გამოსცა ჟურნალ „ჩვენებურის“ პირველი ნომერი. სამწუხაროდ, ეს წამოწყება ვერ იქნებოდა მასშტაბური და „ჩვენებურის“ არსებობის შესახებაც ბევრმა როდი იცოდა. ობიექტურად თუ ვიტყვით, დიდმა ნაწილმა ქართველებისა თვით საქართველოს შესახებაც არაფერი უწყოდა და მათთვის თურქეთის ჩრდილოეთი საზღვარი მხოლოდ რუსეთზე გადიოდა. ამ დიახაც ტრაგიკული რეალობის დამადასტურებელ ფაქტებს ვაწყდებით ექსპედიციებში — როგორც მუჰაჯირებში, ასევე ჭოროხის აუზის მოსახლეობაში; აგრეთვე თურქეთის ქართველთა პუბლიცისტიკაში. აქვე შევნიშნავ, რომ ეს პუბლიცისტიკა სასურველზე გაცილებით მოკრძალებული მასშტაბისაა და მითუფრო დასაფასებელი.

ცნობილი ფაქტია, რომ თვით ახმედ მელაშვილი, სადღაც მე-20 საუკუნის 40-იანი წლების ახლოს ქართული ანბანის შექმნას ცდილობდა ლათინურის საფუძველზე: მაშინ მან არ იცოდა, რომ ქართველებს მრავალსაუკუნოვანი დამწერლობა გვქონდა.

უფრო გვიანდელი ისტორია გვიამბო კლასქურელმა რიდვან ათანოღლიმ: „პატარა ვიყავი, რადიოში ქართული ლაპარაკი დავიჭირე შემთხვევით, სახლში გაოცებული მივედი. მაშინ მითხრა მამამ, რომ არსებობს ასეთი ქვეყანა — საქართველოო“ — ეს დაახლოებით 70 ან 80-იანი წლების ისტორიაა და დამახასიათებელი ამბავია ჭოროხის ხეობისთვის. იმასღა დავამატებ, რომ კლასქური კლარჯეთის, კერძოდ, ისტორიული ნიგალის ერთ-ერთი ხეობათაგანია და რიდვანის სახლიდან საქართველო-თურქეთის საზღვრამდე ათიოდე კილომეტრი თუ იქნება...

მცირე შესავლის შემდეგ, სწორედ ამ თემიდან უნდა დავიწყო საუბარი შენოლ თაბანის კლარჯულ ქრონიკებზე: შენოლიც კლასქურში დაიბადა. კლასქური მექართულე სოფელია და ისიც ბავშვობიდანვე ფლობდა წინაპართა ენას. სწავლობდა კლასქურში, ბორჩხაში, სტამბულში... „წლები ერთმანეთს მიჰყვებოდა, — წერს იგი ერთ-ერთ წერილში — ბუღალტრობას თავი დავანებე და საგამომცემლო საქმიანობას მოვკიდე ხელი. ქართველი რომ ვარ, მაშინ არ ვიცოდი“... *(„ფიროსმანი“ 3. 2007 წ.)* — ესეც 70-იანი წლების ამბავია და შენოლ თაბანი ამ დროს უკვე სტამბოლში ცხოვრობდა.

ამ თემას „ფიროსმანის“ სხვა პუბლიკაციებიც ეხება. ეს ჩვენებურების ერთი ტკივილთაგანია. ამავე დროს საოცრად ნაცნობი ისტორია. ვინც იცნობს მე-19 საუკუნის ქართული პუბლიცისტიკის სამუსლიმანო საქართველოს ნაწილს, მისთვის უცხო არ იქნება განწყობა, რომელიც ამ წერილების კითხვისას გეუფლება კაცს. საკმარისია დავასახელოთ ჰაიდარ აბაშიძის წერილი „როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვარ“ (1915 წ.) და სხვა მსგავსი პუბლიკაციები.

ჟურნალი „ფიროსმანი“ 2007 წელს დაარსდა. ჟურნალის მთავარი რედაქტორი იყო — ფაჰრეთთინ ჩილოღლუ, იგივე ფარნა ჭილაშვილი; პასუხისმგებელი რედაქტორი — ერდალ ქუჩუქი; გენერალური კოორდინატორი — მუსტაფა იაქუთი, რედაქტორები — ჰასან ჩელიქი, ირინე გივიაშვილი, ქევსერ რუჰი, ლელა დადიანი, ლიანა ახობაძე; მთარგმნელთა საბჭო — ჰაჯერ ოზქანი, ლელა მსხალაძე, ნანა კაჭარავა, ნანა ჯანაშია, ვარლამ ნიკოლაძე, ივერი მსხალაძე და ზაზა წურწუმია; მხატვრული რედაქტორი — შერიფე უიური.

ბსუ-ს პროფესორები მამია ფაღავა, მალხაზ ჩოხარაძე და მაია ბარამიძე შენოლ თაბანთან ერთად ზედა მაჭახელში

ჟურნალი წარმოადგენს ორენოვან — ქართულ-თურქულ გამოცემას. ავტორებიც საქართველოს და თურქეთის მოქალაქეები არიან. სულ გამოვიდა 11 ნომერი. მეთერთმეტე ნომერი 2010 წლის ზაფხულში გამოვიდა და ჟურნალის გამოცემაც შეწყდა.

შენოლ თაბანის ძაღლი — ჭაჭა

შენოლ თაბანი ამ ჟურნალის გამომცემელი და ერთ-ერთი აქტიური ავტორია. ხსენებულ თერთმეტ ნომერში მისი შვიდი წერილია დაბეჭდილი. თემატურად ეს წერილები მრავალმხრივი და მრავალფეროვანია. შევეცდები, გამოვყო შედარებით ფართოდ და მკაფიოდ გამოკვეთილი თემატური ერთეულები მისი პუბლიცისტური წერილებისა:

პროფ. თინა შიოშვილი და ქალბატონი ალთუნი — შენოლის დედა

1. **უპირველესად ესაა საქართველო და ქართული ენა თურქეთის ქართველებში.** ამ თემას ნანილობრივ შევეხე ზემოთ და უნდა ითქვას, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე ტკივილიანი თემაა შენოლის პუბლიცისტიკაში. აქ ერთ ფაქტს კიდევ მოვიყვან მისი სხვა წერილიდან „დაწყებით სკოლაში მასწავლებლები ერთმანეთში თუმცა ქართულად საუბრობდნენ, ჩვენ ქართულად ლაპარაკი გვეკრძალებოდა, რადგან გამართული, სწორი თურქული უნდა გვესწავლა, ის კი არადა, ყველაზე შორის მცხოვრებნი აგენტებად მონათლეს, ჩვენს შორის რამდენიმე დამბეზღებელიც ჰყავდათ“... (5, 2008 წ.)

ეს თურქეთის ქართული დასახლებების უახლოესი წარსულის მეტად დამახასიათებელი ფაქტია: კლარჯეთ-შავშეთსა თუ თუ მუჰაჯირების შთამომავლებში საშუალო და უფროსი თაობის წარმომადგენელთაგან ხშირად მოისმენ, რომ სკოლაში ქართულად ლაპარაკს კატეგორიულად გვიშლიდნენო. ქართულად თუ იტყოდი რამეს, სასჯელს ვერ აიცილებდი: ასეც ხდებოდა, შეშას გააპობდნენ, ნაპობში ენას ჩაგაყოფინებდნენ და დაგკიდებდნენ, ან ენაზე ნემსს დაგარჭობდნენ... ამ ტენდენციას ზოგჯერ ოჯახებშიც უწყობდნენ ხელს: სახელმწიფო ენის გამართულად ფლობა თვითდამკვიდრების აუცილებელი პირობაა ნებისმიერ საზოგადოებაში. ქართულ ენაზე ლაპარაკის აკრძალვას პრაგმატული მიზანიც ჰქონდა: პატარებს თურქული უნდა აეთვისებინათ სრულფასოვნად. მერე და მერე დაშლაც აღარ იყო საჭირო, პროცესი გაღრმავდა და ტენდენციამ ისე მოიკიდა ფეხი, გარედან ჩარევა აღარ სჭირდებოდა.

2. კიდევ ერთი თემა არის **ჩანაწერები პოლიტიკური და საზოგადოებრივი საქმიანობის** შესახებ: შენოლ თაბანი აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობასაც ეწეოდა. უფრო ახალგაზრდობაში. მემარცხენე პოლიტიკური შეხედულებების გამო არაერთხელ იწვნია სუსხი. 1980 წლის სამხედრო გადატრიალების განუკითხაობის დროს მეგობარი მოუკლეს. თავის წერილში შენოლი აცოცხლებს იმ მღელვარე ეპოქის გამოძახილს თურქეთის თითქოს მიყრუებულ, სინამდვილეში პოლიტიკურად საკმაოდ აქტიურ ბორჩხის რაიონში. „პოლიცია ვისაც კი მოიხელთებდა, იჭერდა და წიხლისკვრით მანქანაში აგდებდა. მეც თირკმლების სიახლოვეს წიხლი რომ ვიგემე, ფეხზე წამოვფრინდი. მთელი ბორჩხის ხალხი ფეხზე იდგა. ორასამდე სტუდენტი ძირს ეგდო პირქვე. რვა ამხანაგთან ერთად პოლიციაში წაგვიყვანეს მკაცრად დასასჯელად — გასაჯოხად... იმ დღეს გაშიშვლებულ ფეხისგულებზე საშინელი სისასტიკით გვირტყეს ჯოხები. შემდგომ წლებში ომერ სეიფედინის წიგნებიდან შევიტყობ, რომ დასჯის ამ ფორმას „ფალკა“ ჰქვია“, — წერს შენოლი. (11, 2010 წ.)

3. კიდევ ერთი თემა შენოლის პუბლიცისტიკისა **მშობლიური სოფელი და ოჯახური გარემოა.** იგი დიდი სიყვარულით აღწერს კლასქურს, ბავშვობის წლებს, მშობლების ამაგს, მამის დაკარგვით გამოწვეულ ტკივილს. უნდა ითქვას, რომ შენოლის დედა, მურღულელი გურჯი ალთუნ ხანუმი ცოცხალია და ასაკის მიუხედავად მუხლჩაუხრელად შრომობს დღემდე.

4. ყველაზე ემოციური ნაწილი არის **შთაბეჭდილებები ისტორიული სამშობლოდან.** შენოლის პუბლიცისტიკაში რომანტიკოსის მგრძნობელობა ხშირად იჩენს თავს და ეს განსაკუთრებულ ხიბლს მატებს მის შემოქმედებას. ამ შემთხვევაში რომანტიზმის ხსენება იმიტომ დამჭირდა, რომ ავტორი ხშირად დიდებულად იჭერს ქართული ხასიათის იმ დადებით შრეებს, რომელიც თითქოს მოულოდნელი და უცნაურია, მაგრამ სინამდვილეში ალბათ, ერის ისტორიის შინაგანი ლოგიკითაა განპირობებული და რომელიც სიკეთის სიყვარულით ავსებს ხოლმე ადამიანს. მე მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიყვან და იმ ასოციაციასაც გავიხსენებ ამ მაგალითმა რომ აღძრა.

როცა თბილისში ღვინის გამყიდველმა ქალმა თურქეთელ ქართველთა ვინაობის და გვარების დაზუსტება სცადა, შენოლმა ნახევრად ხუმრობით ასე უპასუხა:

„ობოლი ვარ, არავინა მყავს, დედ-მამა არ მახსოვს, აქ ნათესავების საძებნელად ჩამოვედი და თუ ვინმეს ვიპოვი, ძალიან გამიხარდება“.

„ნეტავ არ მეთქვა! — წერს შენოლი, — ქალმა ცხარე ცრემლებით იტირა. მერე ღვინის თასი გვაჩუქა და გამომშვიდობებისას, სანამ თვალს არ მივეფარეთ, ხელს გვიქნევდა“ (2, 2007 წ.).

ასოციაციას რაც შეეხება, ამ სათნოებით სავსე მოხუც ქალბატონთან ყაჩაღები რა სახსენებელია, მაგრამ მაინც დაჟინებით მაგონდება ერთი ჩემი ართვინელი, კერძოდ, შავშეთელი ქართველი მეგობრის თავგადასავალი: იმ ავბედით 90-იან წლებში მეოცე საუკუნისა იგი საქართველოში სწავლობდა, თბილისის ერთ-ერთ უნივერსიტეტში. ერთხელაც, თბილისიკენ მიმავალი, ყაჩაღების მსხვერპლი გახდა: ყაჩაღებმა მგზავრები ავტობუსიდან ძირს ჩამოსხეს, წაართვეს ყველაფერი, რაც ებადათ — ფული, სამკაულები, ქურთუკები... ჩვენი შავშეთელი გურჯის კილო ეუცნაურათ და როცა მისი ვინაობა გაიგეს, წანართმევი ყველაფერი დაუბრუნეს და, უარი რომ არ ეთქვა, იქით აძლევდნენ ფულს!...

მოკლედ, ყაჩაღების პატრიოტიზმში არის რაღაც გროტესკულიც და გულისამაჩუყებელიც და თუ ისევ შენოლ თაბანს დავესესხებით, ერთ-ერთ წერილში მოყვანილი, უცხოელისგან განაგონი სიტყვები უნდა გავიხსენო: „ქვეყნად არიან კარგები და არიან ცუდები, მაგრამ კიდევ არსებობენ ქართველები“... (2, 2007 წ.).

შენოლ თაბანმა ქართულად გიორგი ღვინიაშვილი დაირქვა. ძაღლს, უზარმაზარ ნაგაზს, ჭაჭა დაარქვა. რამდენიმე წლის წინ მიატოვა სტამბოლი და კლასქურში დაბრუნდა ოჯახით. ახლა იგი თავისი სოფლის მუხტარია. „საქართველო საჩემო ადგილიაო, თუ ვიტყვი, ამის მიზესი არის უხილავი ძაფი, რომელიც იქ მცხოვრებ ხალხთან მაკავშირებს“ — წერს იგი (2, 2007 წ.) და ამ „ძაფების“ გავლენა თვალსაჩინოა მისი ნაწერებისთვისაც და ცხოვრებისთვისაც...

მალხაზ ჩოხარაძე

გაბრიელ ეპისკოპოსი

— ტრაგიკული ბედის მოძღვარი, ფსიქოლოგი, პედაგოგი

2015 წლის 28 ნოემბერს (ძველი სტილით 15 ნოემბერს) შესრულდა გაბრიელ ეპისკოპოსის (ერისკაცობაში გერასიმე მაქსიმეს ძე ქიქოძე) დაბადების 190, ხოლო 2016 წლის 7 თებერვალს (ძველის სტილით 25 იანვარს) გარდაცვალების 120 წლისთავი. ეს თარიღები თავის დროზე რატომღაც სათანადოდ არაღნიშნულა ჩვენს პრესაში. არადა ამ დიდებული პიროვნების ხსენება და დაფასება ნებისმიერ დროს შეიძლება, რადგანაც იმის ღვაწლი ერის წინაშე და განსაკუთრებით ახალგაზრდობის სულიერ და ზნეობრივ აღზრდაში, ფასდაუდებელია. დიდი ილია ჭავჭავაძე აღნიშნავდა მის დაკრძალვაზე: „თითოეული წამი მისი ცხოვრებისა მოძღვრებაა, მაგალითია, ანდერძია ჩვენთვის და ჩვენი ქვეყნისათვის, ერთად, კი მთელი მისი ცხოვრება ერთი დიდი სკოლაა მაღალსათნოებისა და სიყვარულისა, მართლისა და ჭეშმარიტებისა, მადლისა და მოწყალებისა“.

გერასიმე ქიქოძე დაიბადა 1825 წელს, სოფელ ბახვში, გურიის უკანასკნელ მთავრის-მამია გურიელის კარის მოძღვრის, მღვდელ მაქსიმე ქიქოძის მრავალშვილიან ოჯახში. პირველდაწყებითი განათლება ოჯახში მიიღო. 1837 წელს შეიყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, ხოლო 1839 წელს სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. 1841-43 წლებში სწავლობდა ფსკოვის სასულიერო სემინარიაში, 1844-45 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომლის დასრულებისთანავე დაიცვა სამაგისტრო დისერტაცია. იგი პირველი სასულიერო მოღვაწე გახდა მაგისტრის სამეცნიერო ხარისხით საქართველოში.

1849 წელს გაბრიელი დაბრუნდა საქართველოში და სამსახური დაიწყო თბილისის სემინარიის ინსპექტორად და რექტორის თანაშემწედ საბუნებისმეტყველო საგნებში. 1851 წელს შეთავსებით ინიშნება ფიზიკა-მათემატიკის პროფესორად და ფიზიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელად. 1854 წელს თავიდაანება ინსპექტორობას და მხოლოდ მასწავლებლობდა. 1855 წელს შეითავსა საღვთო სჯულის მასწავლებლობა თბილისი კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტში. გარდა პედაგოგობისა, იგი აქტიურ მეცნიერულ მუშაობასაც ეწეოდა. განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ფსიქოლოგიით, ფილოსოფიითა და საბუნებისმეტყველო საგნებით. 1856 წელს დაასრულა და პეტერბურგში დასაბეჭდად გაგზავნა ნაშრომი ფსიქოლოგიაში, „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“.

1855—56 წლებში გერასიმე ქიქოძეს თავს დაატყდა საშინელი უბედურება მოკლე დროში ამოუწყდა მთელი ოჯახი — მეუღლე და ხუთი შვილი, რის გამოც აღიკვეცა ბერად, მაგრამ როგორც გამოჩენილ მეცნიერსა და პედაგოგს, ტოვებენ მასწავლებლად როგორც სემინარიაში, ასევე ინსტიტუტშიც, ნებისყოფისა და ინტელექტის არნახული ძალისხმევით გაუმკლავდა იგი თავის გაუბედურებულ და დამწუხრებულ სულიერ მდგომარეობას და განახლებული ძალით შეუდგა აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

1858 წელს გაბრიელი დავითგარეჯის მონასტრის წინამძღვარია, იმავე წელს გადაჰყავთ გორის ეპისკოპოსად, ხოლო 1860 წლის 2 ივლისიდან იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსია, სადაც მან 35 წელი დაჰყო მღვდელმთავრის თანამდებობაზე, ამ პერიოდში იმერეთის ეპარქია, ფაქტობრივად, მთელ დასავლეთ საქართველოს აერთიანებდა.

ღვთისმსახურებასთან ერთად გაბრიელი დიდ პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა, დაუცხრომლად ზრუნავს ხალხის სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე, იბრძვის თვითმპყრობელობის რუსიფიკატორული პოლიტიკის წინააღმდეგ, მოითხოვს ქართულ სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების განხორციელებას.

გარდა ზემოთ აღნიშნულ სასწავლებლებში პედაგოგიური მოღვაწეობისა, გაბრიელი უდიდეს საგანმანათლებლო-პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა ეპისკოპოსობის წლებში. რელიგიური რიტუალების შესრულებასთან ერთად, მას ხალხში შეჰქონდა, ცოდნა, ზნეობა, დარიგებანი, რაც მისი „ქადაგებანით“ არის ცნობილი. არ დარჩენილა დასავლეთ საქართველოში რომელიმე სოფელი, ყველაზე მიუვალიც კი, რომელსაც გაბრიელი ქიქოძე არ სტუმრებოდა ეპისკოპოსად ყოფნის პერიოდში და იქ ლოცვა — კურთხევა არ აღევლინა.

გაბრიელის ქადაგებანი ცნობილია როგორც ჰომილეტიკური ორატორული ხელოვნების კლასიკური ნიმუში. 1865 წელს დაიბეჭდა მისი წიგნი „სიტყვანი და მოძღურებანი“. რომელიც სხვადასხვა დროს წარმოთქმული სიტყვების კრებულია. ორი წლის შემდეგ იგი ითარგმნა და გამოიცა ინგლისში. 1884 წელს თბილისში დაიბეჭდა გაბრიელის „ქადაგებანი“ პირველი ტომი, რომელშიც შევიდა მის მიერ 1860-70 წლებში წარმოთქმული სიტყვანი, ხოლო 1913 წელს ქუთაისში — მეორე ტომი, სადაც მოთავსდა 1870-1884 წლებში წარმოთქმული ქადაგებანი. რა ბედი ეწია 1884 წლიდან გარდაცვალებამდე გაბრიელის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს და დარიგებებს, ჯერჯერობით უცნობია. გაბრიელის „ქადაგებანის“, როგორც მსოფლიო ჰომილეტიკის ნიმუშის ანალიზს დაინტერესებული პირი შეიძლება დაწვრილებით გაეცნოს გერასიმე ქიქოძის თანასოფლელის, ლიტერატურათმცოდნის, პროფესორ ნიკოლოზ კანდელაკის წიგნში: „ქართული კლასიკური მჭერმეტყველება“.

გაბრიელი მშრომელი ხალხის გულშემატკივარი და უდიდესი ქველმოქმედია, საკუთარი სახსრებით და გარჯით გახსნა მრავალი სკოლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ააგო ეკლესიები, შეაკეთა მატერიალური კულტურის ძეგლები. მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება გაბრიელმა ანდერძით დაუტოვა ხალხს. ამის შესახებ დაწვრილებით მასალა შეიძლება მოვიძიოთ ვახტანგ გურგენიძის წერილში „ლეგენდარული მოძღვარი“ (გაზ. წიგნის სამყარო“, 1987 წლის 27 ნოემბერი.)

განსაკუთრებული დახმარება აღმოუჩინა მან მშობლიურ სოფელ ბახვს. აი რას ამბობს ცნობილი მწერალი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი თედო სახოკია: „ ჩვენში, იმ დროს მაინც, პირველი მაგალითი იყო, რომ თავისი სამშობლო სოფლისათვის ვისმე ამდენი ამაგი დაედო, რამდენიც გაბრიელმა ბახვს დასდო. ერთ დროს სრულიად დავრდომილი, დაქვეითებული, დაჯანდაკებული, მწირი სოფელი ბახვი, დღეს (იგულისხმება 1897 წლის ზაფხული — ი.კ.) გაბრიელის მეოხებით პირველ სოფლად ითვლება მთელ გურიაში და ცოდვა არ იქნება, კაცმა თქვას, რომ როგორც გურიაში, ისე სხვაგან საქართველოში ამას სოფელი არა სჯობნისო“. თავისი თვალით მხილველი თედო სახოკია ჩამოთვლის ყველა იმ სიკეთეს, რაც გაბრიელს გაუკეთებია სოფლისათვის: ქვითკირის ტაძრის აშენება, გზების გაყვანა, სარწყავი არხის გაყვანა, სკოლის აშენება, გახსნა და მზრუნველობა, რის შედეგადაც უკვე 1897 წლისათვის „მისი მეოხებითა და საფასით ათზე მეტი კაცი უმაღლეს სასწავლებელში აღიზარდნენ. არცერთ სოფელს იმდენი ნასწავლები არ ჰყავს, რამდენიც ბახვს... დიახ, სანუგეშო მოვლენა გახლავთ. იქ, სადაც ერთმა კაცმა მხოლოდ პირდი ზნეობით, ესოდენი სარგებლობა მოუტანა თავის სამშობლო სოფელსა, მისგან აღზრდილთა უფრო უნდა წარემატებია აქაურობა, მაგრამ, სამწუხაროდ, მარტო სწავლა არ ყოფილა თამასუქი ადამიანთა კაიკაცობისა... თუ კიდევ სული უდგას ბახვს, ისევ გაბრიელის უხვი გულისაგან, თუ კედლები შენდება საერთო წარმატებისა, ისევ გაბრიელისაგან ჩაყრილ საძირკველზე“.

გაბრიელმა მეტად რთული და დაბრკოლებით აღსავსე ცხოვრების გზა განვლო. გადა ოჯახური უბედურებისა, მას ბევრი უსიამოვნება შეხვედრია მის დროინდელი ოფიციალური და არაოფიციალური სამსახურების მესვეურებისაგან, არ აკლდა არც მოყვარე და არც მტერი„ ბუნებრივია, პირველის უპირატესობით.

გაბრიელი გარდაიცვალა 1896 წლის 25 იანვარს (და არა 1896 წლის 25 დეკემბერს, როგორც შეცდომით მიუთითებს ზოგიერთი ავტორი), უჩვეულოდ ძნელი ზამთრის პირობების ხანგძლივი უხვთოვლიანობის დროს ქუთაისში, ისე რომ შეუძლებელი გამხდარა მიცვალებულის გელათში წასვენება და დაკრძალვა. ამიტომ გადაუწყვეტიათ დაეცადათ გაზაფხულამდე, ვიდრე თოვლი არ გადნებოდა და გზები არ გაიხსნებოდა. დაასაფლავეს 46 დღის გლოვის შემდეგ 10 მარტს, გელათში.

გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ უხვ მასალას მოიცავენ შემდეგი პუბლიკაციები: 1) მელიტონ კელენჯერიძე. „გაბრიელი ეპისკოპოსი იმერეთისა“, ქუთაისი, 1913 წ. 2) მოსე ქიქოძე, „სულმნათი გაბრიელისსაუნჯე“, ქუთაისი, 1897წ. 3) ავთანდილ ნიკოლეიშვილი, „გაბრიელ ეპისკოპოსი“, თბილისი, 1990 წ. და სხვა, იმდენად მრავალმხრივი და ფართოა პუბლიკაციების სერიალი გაბრიელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რომ ყველას ჩამოთვლა დიდ ადგილს წაიღებს, სასურველია გაკეთდეს ბიბლიოგრაფია ამ შრომებისა და გამოიცეს კრებული, ვის რა უთქვამს გაბრიელის შესახებ.

გაბრიელის პიროვნების ფსიქოლოგიური პორტრეტი მკაფიოდ და ნათლად გამოხატეს ჩვენი მწერლობის კლასიკოსებმა ილია ჭავჭავაძემ, და იაკობ გოგებაშვილმა.

ილია ჭავჭავაძემ: „... მე არ ვიცი იმისთანა სხვა კაცი, — საერო, თუ სამღვდელო — რომლის გულშიაც მომეტებულის მშვიდობიდ — ყოფით, მომეტებულის და ძმობით ერთად დაბინავებულიყოს სამოქმედოდ მეცნიერება და სარწმუნოება. განსვენებული ღრმადმიწევნილი მეცნიერი იყო და იმდენადვე ღრმად მორწმუნეცა...

მთელი მოძღვრება აქ განსვენებულის სახელოვანის მღვდელმთავრისა რომ ავიღოთ, ძნელად იპოვით მაგალითს რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის. პირიქით, იგი სარწმუნობეას ამეცნიერებდა, და მეცნიერებას ასარწმუნოებდა“.

იაკობ გოგებაშვილი: „გაბრიელის სპეტაკ გულში ღვიოდა, ენთო ძლიერი შეურყეველი სარწმუნოება და გონებაში საფუძვლიანი და მრავალ-მხროვანი განათლება, მეცნიერება და ორნივე-სარწმუნოება და მეცნიერება შეადგენენ ერთს რთულს მომხიბლავს სასულიერო ძალას, ბრწყინვალე ინტელექტსა“.

ჩვენი წერილის მიზანია მოკლედ დავახასიათოთ გაბრიელის მეცნიერული საქმიანობა ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერი იგი, პირველყოვლისა, ფსიქოლოგია, ჩვენთვის არ არის ცნობილი მისი მოღვაწეობა მეცნიერების სხვა დარგებში. გაბრიელის მეცნიერული მოღვაწეობის, კვლევის მეთოდის და ანალიზის უნარიანობის კრიტერიუმია მისი გახმაურებული წიგნი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“, რომელიც პეტერბურგში დაიბეჭდა რუსულ ენაზე 1858 წელს. გაბრიელის სახელმა ამ წიგნით გაიელვა რუსეთში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

ეს წიგნი დიდი ხნის მანძილზე ერთერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ითვლებოდა რუსეთის იმპერიაში. წიგნის რეცენზია მისი გამოქვეყნებისთანავე დაწერა ნ. დობროლუბოვმა, რომელმაც მაღალი შეფასება მისცა გაბრიელის ნაშრომს. წიგნის დადებითი დახასიათება მოგვცეს აგრეთვე იმდროინდელმა რუსმა და ქართველმა ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა და პედაგოგებმა.

წიგნის დეტალური, ღრმა ფსიქოლოგიური რეცენზია ქართულ ენაზე წარმოადგინა აკადემიკოსმა ანგია ბოჭორიშვილმა 1950 წელს. თუ როგორი იყო რუსული ინტელიგენციის ინტერესი ამ წიგნისადმი, მოცემულია იაკობ გოგებაშვილის ორ წერილში-„ მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი“ და „იმერეთის ეპისკოპოსიგაბრიელი, როგორც პედაგოგი“ (ი.გოგებაშვილი, რჩეული თხზულებანი, ტომი II, თბილისი, 1990 წ.)

წიგნის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების“ ქართული თარგმანი დაიბეჭდა 1993 წელს თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის მიერ, მისი გამოცემიდან 137 წლის შემდეგ.

ა. ბოჭორიშვილის შეფასებით, წიგნი ძირითადად მატერიალისტური კონცეფციის საფუძველზეა აგებული. ეს წიგნი ოფიციალურმა პროფესიულმა კრიტიკამ შეაფასა როგორც ერეტიკული ნაწარმოები, რომელიც ქრიტიანულ ნორმებს არღვევს, მატერიალისტურიაო, ხოლო მატერიალისტები ბრალს სდებენ იმაში, რომ იდეალისტურიაო.

წიგნი დაწერილია იმდროინდელი გერმანული და რუსული ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაცემების კრიტიკული ანალიზის საფუძველზე. საკითხის განხილვის წესი თავისებურია: ჯერ დასმულია პრობლემა, განხილულია მისი არსი. შემდეგ მოტანილია სხვების შეხედულება, მათი ანალიზი და მათ შესახებ საკუთარი პოზიცია და, ბოლოს, დასკვნა. ორგვერდიან წინასიტყვაობაში ავტორი გამოხატავს თავის პოზიტიურ დამოკიდებულებას ემპირიული ფსიქოლოგიისადმი და, ზურგს აქცევს რა მეტაფიზიკას, აღნიშნავს: „ ფსიქოლოგია ბევრს მოიგებდა, თუ უარს იტყოდა უნაყოფო გონებაჭვრეტაზე და მიმართავდა ზუსტ ცდას, მიუკერძოებელ დაკვირვებებს, მოვლენებისა და ფაქტების ანალიზს... ჩვენ ვცდილობდით სულის შესახებ ყველა მსჯელობა ისეთ ფაქტებსა და მოვლენებზე დაგვემყარებინა, რომლებიც ფიზიოლოგიურში და ფიზიკაში სავსებით დამტკიცებული და ახსნილია, რომ ამით თავი დაგვეღწია ყოველგვარი უნაყოფო თეორიებისა და ჰიპოთეზებისაგან“.

ფსიქიკის ორგანოდ გაბრიელი სამართლიანად აღიარებს „ტვინს“ „აზროვნება ყოველთვის კავშირშია ტვინის აღნაგობასა და მოქმედებასთან. სული აზროვნებს ტვინის საშუალებით, ტვინი სულის ორგანოა და თანაც ყველაზე აუცილებელი, ურომლომისოდაც ადამიანი ვერ წარმოიდგენდა და ვერ მოიაზრებდა“.

სულისა და სხეულის, ფსიქიკურისა და ფიზიკურის დამოკიდებულების პრობლემა განხილულია ფსიქოფიზიკური პარალელიზმის პოზიციებიდან, რომ სული და სხეული არამარტო თანაარსებობენ, არამედ ურთიერთს განაპირობებენ. სულისა და ნერვული სისტემის დამოკიდებულების საკითხი წიგნში ავტორის მიერ გააზრებულია ცდისეული ფიზიოლოგიის საფუძველზე: „ნერვების გარეშე არ არსებობს განცდა, რომ ადამიანი გრძნობს და განიცდის მხოლოდ იმ სხეულებრივ ცვლილებებსა და გაღიზიანებებს, რომელთაც ნერვები გადასცემენ ტვინს“. თანამედროვე ფსიქოლოგიაც ცალკეული ფსიქიკური პროცესების მიმდინარეობას განიხილავს არა ატომისტურად, არამედ კომპლექსურად, რომ განიცდის არა ტვინი ან თვალი, არამედ პიროვნება, მთელი. ასეთია გაბრიელის შეხედულებაც ამ საკითხზე. პრობლემატური იყო და დღესაც აუხსნელია პროცესებისა და ფსიქიკური ურთიერთზემოქმედების პროცესი. ფაქტია, პირველი განსაზღვრავს მეორეს, მაგრამ როგორ გარდაიქმნება ფიზიკურ-ქიმიური ფსიქიკურად — უცნობია.

ვულგარული მატერიალისტების ფოგტის, ბიუხნერის და მოლეშოტის მიერ ფსიქიკური გაიგივებული იყო მატერიალურ-ნივთიერთან, რომ ტვინი იმგვარად წარმოშობს ფსიქიკურს (აზრებს, გრძნობებს) როგორც თირკმელი შარდს, ღვიძლი — ნაღველს. გაბრიელი წიგნში იძლევა რა ამ საკითხის გაგების კრიტიკას, ამბობს, რომ სულის სხეულთან შეერთება საბოლოოდ აუხსნელი დარჩებაო. ამასვე იმეორებდა 1872 წელს ლაიფციგში ბუნებისმეტყველთა და ექიმთა კრებაზე ცნობილი ფიზიოლოგი დიუბუა რეიმეონი.

საინტერესოა წიგნში წარმოდგენილი ისეთი საკითხები, როგორიცაა, ლოგიკური აზროვნების ფორმები, გრძნობები, ხასიათი, ტემპერამენტი და სხვა.

წიგნში განხილულია როგორც ზოგადი, ასაკობრივი, პედაგოგიური და სხვა დარგის ფსიქოლოგიის საინტერესო საკითხები, ბევრია ფსიქოდიდაქტიკური ხასიათის მაგალითები.

ფსიქოლოგიის, განსაკუთრებით გამოყენებითი ფსიქოლოგიის და პედაგოგიკის მნიშვნელოვანი საკითხებია აგრეთვე გაბრიელის სხვა მეცნიერულ ნააზრევში, კერძოდ, მის „ქადაგებანში“. რომელიც ცალკე საუბრის თემაა.

გამოყენებითი ფსიქო-პედაგოგიკის თვალსაზრისით მინდა გაბრიელის პედაგოგიური პრაქტიკის ერთი ფაქტი ავღნიშნო. მწერალი ვახტანგ ჭელიძე გერონტი ქიქოძისადმი მიძღვნილ საჟურნალო წერილში წერს: „პირველდაწყებითი განათლება გერონტი ქიქოძემ თავის სოფელში მიიღო, სახელოვანი ბიძის გაბრიელ ეპისკოპოსის აშენებულ სკოლაში. ეს გახლდათ ორსართულიანი ქვით ნაგები ლამაზი შენობა. ასეთი სკოლა საქართველოში იმხანად ბევრი არ ყოფილა. ერთ-ერთი საკლასო ოთახის სქელ კედელზე, მოხატული იყო გურიის რუკა. ეს გახლდათ პირველი კლასი. მეორე, უფრო დიდ ოთახში მთელს ვრცელ კედელზე მოეხატათ საქართველოს რუკა. იმოდენა იყო ეს რუკა, რომ ბავშვებს მერხებიდანვე შეეძლოთ გაერჩიათ მდინარეების, სოფლებისა და ქალაქების სახელები. ამას თითქოს სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა და, ერთგვარად, ეხმარებოდა დუტუ მეგრელის ცნობილ ლექსს, — სკოლაში ახალმოსულ პატარა ბავშვს ჯერ თავის კუთხეს, მეზობელ სოფლებსა და მდინარეებს აცნობდა, ხოლო მეორე წელინადს, მეორე კლასიდანვე შთააგონებდნენ, რომ იგი შვილი და პატრონი იყო ერთიანი საქართველოსი“.

მან საკუთარი სახსრებით გახსნა რამდენიმე საშუალო სკოლა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. მისი ინიციატივით ქუთაისში დაარსეს ქალთა ეპარქიული სასწავლებელი და სასულიერო სემინარია.

ილია კეჭაყმაძე

„...ამ ლეგენდას ანზორ დიასამიძე ჰქვია"

მატიანის ერთ არაფრით გამორჩეულ დღეს, ჩვეულებრივი ამინდი იყო, ჩვეულებრივი წვიმა ჩვეულებრივად ასველებდა ბათუმის სახლებს, ქუჩებს, ხეებს, ხალხს. . . ჩვენ კი ასეთ არაფრით გამორჩეულ ვითარებაში, ვიჯექით პედაგოგიური უნივერსიტეტის 306-ე აუდიტორიაში და მომდევნო ლექციის დაწყებას ველოდით.

ადამიანი, ცოცხალ არსებათა შორის ერთადერთია, რომელსაც ღმერთმა სიტყვის წარმოთქმის უნარი შესძინა, წარმოუდგენელი ზემოქმედება აქვს გარშემო მყოფებზე ადამიანის სიტყვას დაპირველმა წინადადებამ, რომელიც ლექციის დაწყებისთანავე გვითხრა — წვიმიანი დღე გამოადარა, ჩვეულებრივი დღე არაჩვეულებრივად გადააქცია, გააცისკროვნა, ცისარტყელას ფერებად დააფინა გარემოს, ცხრა მთა მოგვატარა, გადაწვდა ჩვენს გონებას და სამუდამო კვალი დააჩნია. სიტყვით ხომ შესაძლებელია სულის ამაღლება, სიკეთის, სიყვარულის, სითბოს, ყოველგვარი სათნოების მინიჭება. და თუ ამას ემატება ყველა ის თვისება, რასაც უნიკალურობა, და ამასთნავე უბრალოება ეწოდება — ადამიანი ცოცხალ ლეგენდად იქცევა და ამ ლეგენდას ანზორ დიასამიძე ჰქვია.

ინტელიგენციის უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი — ანზორ დიასამიძე და უნივერსიტეტი ორგანული ერთიანობაა, უნივერსიტეტი იქცა მის მეორე ოჯახად, თუმცა არაეთხელ დამდგარა სულიერი ჭიდილის ზღვარზე — უნივერსიტეტი თუსხვა სამეცნიერო დაწესებულება. განათლებისა და მეცნიერების დაუღლავი დიდოსტატი მართლაც იქცა თავისი სტუდენტების სულიერ მამად და საყვარელ პროფესორად, მან შეძლო მთელი თავისი სულისთქმა ჩაექსოვა საყვარელი საქმის საკეთებლად, რათა-შეექმნა თავის კოლექტივში გენეტიკოსების თაობათა მონაცვლეობა და უწყვეტობა, ჩვენ ხომ ყველანი მისი სტუდენტები ვართ, ჩვენთან ერთად ეშენებინა ბიოლოგიის, ჯერ კათედრის და შემდეგ დეპარტამენტის ისტორია. ჩვეულებრივ მოკვდავთათვის რამდენიმე სიცოცხლეა ხოლმე საჭირო იმ საქმიანობისთვის, რაც ბატონმა ანზორმა ერთი სიცოცხლეში გააკეთა. უდიდესი ადამიანი, განუმეორებელი ნიჭის მფლობელი, უზომოდ გონიერი, ოსტატური სიტყვა-პასუხით, სამართლიანი და შეუპოვარი, ღირსების, სიმტკიცის დაჭეშმარიტიქართველი-აღმზრდელის სიმბოლო". უბრალოება მის პიროვნებას ისე ადიდებს, ისეთ ლაზათს მატებს, რომ მის მიერ ათი ათასჯერ ახალ ათქვირებულ ბალახიან, ახალ კვირტ ამოფეთქილ და შემოდომის ფოთოლცვენის ხალიჩიან გზაზე გავლილ ბიორაფიას ღირსების ვარსკვლავე ბი აცვენია, ალიონის ნათება ესალმუნებადა მზის შუქი ეფრქვევა.

ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ანზორ დიასამიძე დაიბადა 1939 წელს შუახევის რაიონის სოფ. ცინარეთში. 1958 წელს ვერცხლის მედალზე დაამთავრა შუახევის საშუალო სკოლა, 1964 წელს კი წარჩინებით დაამთავრა ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით.

1964-65 წლებში სამხედრო სამსახურშია, 1966-69 წლებში კი ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტია გენეტიკა-სელექციის სპეციალობით.

1969 წლიდან მუშაობას იწყებს ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ბიოლოგიის კათედრაზე. შეთავსებით კი მუშაობს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში მეცნიერ-მუშაკად.

1970 წელს ა. დიასამიძემ აკადემიკოს ი. რაპაპორტის ხელმძღვანელობით წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია.

1971 წლიდან ა. დიასამიძე ბიოლოგიის კათედრის დოცენტია, 1979-85 წლებში — ბუნებისმეტყველება-გეოგრაფიისა და ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის დეკანი. 1985—1986 წლებში შეთავსებით ზღვის თევზისა და ოკეანოგრაფიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბათუმის განყოფილების დირექტორი იყო.

1986-2006 წლებში — ბიოლოგიის კათედრის გამგეა, პარალელურად კი — ახალგახსნილი სამედიცინო და ეკონომიკური ფაკულტეტის პირველი დეკანი.

1995 წელს ა. დიასამიძემ წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ქიმიური მუტაგენეზი და ცვალებადობის თავისებურებანი ციტრუსოვანთა სახეობათაშორის ჰიბრიდებში".

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად იგი უნივერსიტეტის მეთოდსაბჭოს პირველი თავმჯდომარე და ახალგახსნილი მაგისტრატურის განყოფილების პირველი გამგე იყო.

პროფ. ა. დიასამიძე უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორია. უძღვება ბიოლოგიური მიმართულების ძირითად დისციპლინათა კურსებს გენეტიკაში, ბიოევოლუციაში და სამაგისტრო და სადოქტორო დისციპლინებს აღნიშნული მიმართულებებით.

პროფ. ა. დიასამიძე ყოველმხრივ გამორჩეული პიროვნებაა. არის მაღალკვალიფიციური პედაგოგი და ლექტორი, საუკეთესო მეცნიერი და ორგანიზატორი. შესაშურია მისი ნიჭი და გონიერება, საოცარი ალღო და ერუდიცია, დიდი შინაგანი კულტურა და დისციპლინა, პასუხისმგებლობა და მომთხოვნელობა, როგორც სხვების, ასევე, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი თავის მიმართ, აქვს გამორჩეული ორატორული ნიჭი და აუდიტორიის დაპყრობის უნარი, არის ჰუმანური, ობიექტური და გულისხმიერი.

პროფ. ა. დიასამიძე 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, მათ შორისაა 10-მდე მონოგრაფია და სახელმძღვანელო, რომელთაგან აღსანიშნავია მონოგრაფიები: „მემკვიდრეობისა და ცვალებადობის ბალანსის ბიოლოგიური რეგულაცია და ევოლუციური მნიშვნელობა"(ბათუმი, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი", 1999); „ბუნებრივი და ქიმიური მუტაგენეზი ციტრუსების სელექციაში" (ბათუმი, გამომც. „აჭარა", 1994); „მამრობით გენომზე ქიმიური მუტაგენეზის გენერაციული გავლენის შედეგები" (ბათუმი", აჭარა", 1997) და სასწავლო მეთოდური შრომები — სახელმძღვანელოები გენეტიკასა (1998; 2003, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი") და ბიოევოლუციაში (2000; 2008, გამომც. „ბათუმის უნივერსიტეტი") უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის, რაც მშობლიურ ენაზე სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდა იყო ჩვენს უნივერსიტეტში.

ფართო და მრავალმხრივია პროფ. ა. დიასამიძის მეცნიერულ ინტერესთა სფერო, თუმცა, მისი მეცნიერული კვლევის ძირითადი მიმართულება მაინც არის სუბტროპიკულ კულტურათა გენეტიკისა და სელექციის თეორიული საფუძვლების კვლევა, ფორმათწარმოქმნის პროცესების რეგულირების მეთოდიკის დამუშავება და საწყისი სელექციური მასალის შექმნა შემდგომი სელექციური საქმიანობისათვის. ა. დიასამიძის სამეცნიერო შრომები მნიშვნელოვანი პრაქტიკული დასკვნებისა და თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენების საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ა. დიასამიძის მიერ სელექციის ახალი მეთოდების ძიება და დამუშავება ციტრუსოვნებში სელექციური პროცესების დასაჩქარებლად. მეციტრუსეობის პრაქტიკაში მან პირველმა მოახდინა მუტაგენეზისა (ყველაზე თანამედროვე მეთოდებით) და სახეობათაშორისი ჰიბრიდიზაციის (ტრადიციული მიმართულება) მეთოდების შეუღლება და შეისწავლა მისი შედეგები, ახსნა ქიმიური მუტაგენებით გამოწვეული ცვალებადობის თავისებურებანი ორგანიზმის, უჯრედისა და ქრომოსომის დონეზე; გააანალიზებული იქნა მუტაგენური ზემოქმედებით გამოწვეული ბიოლოგიური, ფიზიოლოგიური და გენეტიკური თავისებურებების ცვალებადობის კანონზომიერებანი, დადგენილი იქნა ქიმიური მუტაგენეზის დროს მუტაგენური და გენოტიპური თავისებურებების სპეციფიკურობანი.

ქიმიური მუტაგენებით დამუშავებული მტვრის გამოყენებით შექმნილი იქნა მდიდარი გენოფონდი (667 ფორმა), რომელიც საინტერესო მასალას წარმოადგენს შედგომი სელექციური საქმიანობისათვის. გამოყოფილი იქნა მეტად საინტერესო ჰიბრიდ-მუტანტები, შექმნილი იქნა სათანადო კოლექცია, რომელთაგან გამორჩეული ფორმები რეკომენდირებული იქნა სახელმწიფო ჯიშთა გამოცდაზე ან წარმოებაში უშუალო დანერგვისათვის.

ათეული წლების განმავლობაში ციტრუსოვანთა გენეტიკურ-სელექციური კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე პროფ. ა. დიასამიძე მთელ რიგ ზოგადბიოლოგიურ კანონზომიერებებს აყალიბებს ციტრუსის გვარისათვის დამახასიათებელი ზოგიერთი ბიოლოგიური თავისებურების გენეტიკურ-ეკოლოგიური და ევოლუციური ასპექტების შესახებ. მათ დიდი მნიშვნელობა აქვს სუბტროპიკული კულტურების გენეტიკის, ეკოლოგიისა და ევოლუციის რიგი საკითხების გაგებისათვის. ასევე, იძლევა ბიოლოგიის ზოგიერთი თეორიული პრობლემის გადაწყვეტისათვის მეტად საჭირო მეცნიერულ არგუმენტებსაც.

პროფ. ა. დიასამიძის ექსპერიმენტული კვლევის სფერო მარტო ციტრუსოვნებით არ შემოიფარგლება. მის შრომებში ფართოდაა წარმოდგენილი ვაშლის, მსხლის, კაკლის გენეტიკისა და სელექციის რიგი კანონზომიერებანი.

პროფ. ა. დიასამიძე 2004 წლიდან მისივე ინიციატივით დაარსებულ იმუნოგენეტიკის ლაბორატორიაში, რომელსაც თვითონვე უძღვება, თავისივე აღზრდილ მკვლევართა ჯგუფთან და მომავალ მეცნიერებთან ერთად ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას რიგი გენეტიკური მარკერების მიხედვით დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის პოპულაციური თავისებურებების შესწავლის მიმართულებით. აქ კვლევა ხორციელდება ევროგაერთიანებების TEMPUS/TACIS-ის, INTAS-ისა და სახელმწიფო ეროვნული გრანტების ფარგლებში. კვლევის შედეგები მოხსენებულია არა მარტო ადგილობრივ, არამედ რესპუბლიკურ და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და კონგრესებზე.

განსაკუთრებულია პროფ. ა. დიასამიძის ღვაწლი მომავალი მეცნიერული და პედაგოგიური კადრების მომზადების საქმეში, იგი უანგაროდ ახმარს მომავალ თაობას თავის ნიჭსა და ტალანტს. პროფ. ა. დიასამიძის უშუალო ხელშეწყობითა და დახმარებით რამდენიმე ათეულმა კურსდამთავრებულმა დაიცვა საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია (დეპარტამენტის წევრთა უმრავლესობა მისი აღზრდილია).

პროფ. ა. დიასამიძე იყო ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე და ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის არა ერთი მოწვევის სადისერტაციო საბჭოს წევრი. იგი არის რამდენიმე საგრანტო პროექტის კოორდინატორი და ხელმძღვანელი, სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი. არის უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს წევრი, საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოყვანის (სელექცია, გენეტიკა და სხვა) პრობლემათა კომისიის თავმჯდომარე.

ა. დიასამიძე არის საქართველოს ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (1995 წლიდან), აფხაზეთის მეცნიერებათა რეგიონული აკადემიის აკადემიკოსი (2008 წლიდან).

პროფ. ა. დიასამიძე დაჯილდოებულია „ღირსების ორდენით" და მთავრობის მედლებით.

2006 წლიდან ა. დიასამიძე არჩეული იქნა სრულ პროფესორად, 2010 წელს მიენიჭა ემერიტუსის საპატიო წოდება.

აგერ, 50 წელზე მეტია ამაყად, მხნედ დააბიჯებს უნივერსიტეტის ბევრის მთქმელ მასთან ერთად ჟამით მოკირწყლულ კედლებში და თან მოყვება უკან მადლიერებით სავსე თაობების მთელი არმია.

ნეტა მე რომელი ვარ? არც კი მინდა ვიცოდე რაგდან მისთვის უნივერსიტეტში მოსული ნებისმიერი თაობა პირველია, პირველი კი არა უპირველესი, უმთავრესი მას ხომ ერთი დღეც კია არ უტარებია თავისი საყვარელი საქმის გარეშე. მეამაყება რომ „ჩემი გოგოები" ასე გვეძახის.

ბედმა მარგუნა სტუდენტ-ახალგაზრდობის მასწავლებლობა და ამ გზით მიმებაძა ჩემი სათაყვანებელი ადამიანისთვის, რათა ჩემი ადამიანური ვალი მომეხადა როგორც მასწავლებელსა და რიგით მოქალაქეს. მიმებაძა მისთვის შრომასა და სიმართლის მოყვარეობაში, ჩემთვის მისი დაბადების დღეც დღესასწაულია.

მინდა ასე, ხმამაღლა, სახალხოდ და საჯაროდ მივულოცო დაბადების 77 წლისთავი და ვუსურვო ხანგრძლივი სიცოცხლე და ჯანმრთელობა!

უფლებას დავიტოვებ ჩემი კოლეგების სახელით უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ვთხოვო ეზოს ცენტრალურ ნაწილში, სადაც რუსთაველის ძეგლი დგას, ამაგდარ პროფესორებს ვარსკვლავი გაუხსნან და რომ პირველი ბატონიანზორის სახელზეშექმნილი ვარსკვლავი იყოს. მჯერა ჩემი რექტორის გულისხმიერების და უარს არ გვეტყვის.

ამბავი, რა თქმა უნდა, აქარსრულდება, თუმცაჯობიარომდავასრულო...

ბიოლოგიის დეპარტამენტის სახელით
ასოცირებული პროფესორი
ნანა ზარნაძე

გავუფრთხილდეთ გარემოს და გარემოც გაგვიფრთხილდება ჩვენ!

გარემოსდაცვითი განათლება, პრობლემები და პერსპექტივები

დასაწყისი მე-5 გვ. -ზე

ისმის კითხვა: რა ხდება გარემოსდაცვითი განათლების მხრივ ჩვენს უმივერსიტეტში, ჩვენს ფაკულტეტზე?

1990 წელს ფაკულტეტზე შეიქმნა ეკოლოგიის სპეციალობა წყლის ბიორესურსებისა და აკვაკულტურის სპეციალობებთან ერთად. 1999 წელს ჩამოყალიბდა გეოგრაფია-წყლის ბიორესურსებისა და ეკოლოგიის ფაკულტეტი. 2008 წლიდან უნივერსიტეტში უკვე მოქმედებს ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. 2015 წლიდან კი მას შეემატა ეკოლოგიის სამაგისტრო პროგრამაც. უკვე ორჯერ, 2014 და 2015 წლებში ჩატარდა ეკოლოგიის საერთაშორისო საზაფხულო სკოლა. აქვე შექმნილია ეკოკლუბი. ფაკულტეტის სტუდენტებთან რთად აღინიშნება გარემოსდაცვითი ღონისძიებები, როგორიცაა: 21 მარტი ტყის დაცვის საერთაშორისო დღე, 22 მარტი — წყლის რესურსების საერთაშორისო დღე, 23 მარტი — დედამიწის საათი, 1 აპრილი გადამფრენ ფრინველთა საერთაშორისო დღე, 20 აპრილი — გარემოსდაცვითი განათლების ამაღლების დღე, 22 აპრილი დედამიწის დღე, 22 მაისი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღე.

გარდა ამისა, 2016 წლის 3 მაისს, ფაკულტეტზე ჩატარდა ჩერნობილის კატასტროფის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი ვორქშოპი, სადაც ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე მომხდარი ავარია და მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური ეკოლოგიური კატასტროფა გაიხსენეს და შედეგებზე ისაუბრეს ორგანიზატორებმა, მოწვეულმა სტუმრებმა და სტუდენტებმა.

2016 წლის 4-5 მაისს, ფაკულტეტზე სხვადასხვა აქტივობებით აღინიშნა გარემოს დაცვის დღე. კერძოდ, 4 მაისს მოეწყო ადლიის მიმდებარე სანაპირო ზოლის დასუფთავების აქცია, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ ეკოლოგიის, ბიოლოგიისა და მედიცინის სპეციალობის სტუდენტები. ხოლო 5 მაისს კი, მათთვის მოეწყო ტური მტირალას ეროვნულ პარკში, სტუდენტებმა მოისმინეს ლექცია მტირალას ეროვნული პარკის მდიდარი მცენარეული საფარის შესახებ, შემდეგ კი — მოეწყო ლაშქრობა მცენარეთა გაცნობის მიზნით. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავდა გარემოსდაცვითი მიმართულებით ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლებასა და მათ აქტიურ ჩართულობას გარემოს დაცვის საკითხებში.

აღსანიშნავია გარემოსდაცვითი ღონისძიებების ჩატარებისას სტუდენტთა ენთუზიაზმი და საბოლოოდ მიღებული დადებითი მორალური განცდა, იქნება ეს მცენარეთა დარგვა თუ გარემოს დასუფთავება. თუმცა, ეს სიამოვნება ჯერ-ჯერობით მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვისაა, გარდა გამონაკლისისა, როცა შესაძლებელი გახდა სხვა ფაკულტეტების სტუდენტების ჩართვა ზემოთ აღნიშნულ ღონისძიებებში.

არადა, დედამიწა ყველა ჩვენთაგანის სახლია, მისი მოვლა, ზრუნვა მრავალფეროვნების შესანარჩუნებლად, გარემოს დაცვა, მისი მდგრადი განვითარება, გაფრთხილება, ყველას მოვალეობაა. ამისთვის ცხადია, რომ არსებული ძალისხმევა არასაკმარისია და მნიშვნელოვანია ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება. გარემოსდაცვითი განათლების მიზანია, ადამიანური ღირებულებების გათვალისწინებით, შეცვალოს ურთიერთობა ადამიანსა და გარემოს შორის.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დროულია და შედეგიანი აღმოჩნდება საუნივერსიტეტო სასწავლო პროგრამებში არჩევითი კურსის სახით ეროვნული გარემოსდაცვითი განათლების სტრატეგიით განსაზღვრული რეკომენდაციების გათვალისწინება. კერძოდ, გარემოსდაცვითი სფეროს უმთავრესი საკითხებისა და პრობლემების განხილვა, როგორიცაა: გარემოს დაცვა და მისი დეგრადაცია, ატმოსფერული ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურება, ნარჩენების პრობლემა და მისი მენეჯმენტი, საშიში ქიმიური ნივთიერებები, ბიომრავალფეროვნების რღვევა, გლობალური დათბობა და კლიმატის ცვლილება და ა.შ. კურსის ფარგლებში სტუდენტები მიიღებენ ინფორმაციას, თუ როგორ უნდა მოვუაროთ ბუნებას, გარემოს და იმის შესახებაც, რომ ბუნების კანონების უგულებელყოფა მთავრდება ეკოლოგიური კატასტროფებით.

ჩვენ შეგვიძლია თავიდან ავიცილოთ მოსალოდნელი კრიზისი. ჩვენ შეგვწევს უნარი, შევიცვალოთ ცხოვრების წესი და ვაშენოთ უფრო პროგრესული მომავალი. განათლება, მისი ყველა ფორმით, მთავარი იარაღია ახლანდელი და მომავალი თაობებისათვის, შეიძინონ არა მხოლოდ მდგრადი განვითარების ცოდნა, არამედ სათანადოდ აღიჭურვონ შესაბამისი უნარებითა და ამ უნარების პრაქტიკულად გამოყენების მოტივივაციით. სუფთა გარემო, ჩვენი და ჩვენი შთამომავლობის ჯანსაღი მომავალია! გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ის!

გუგული დუმბაძე,
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ასისტენტ პროფესორი

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე, ინგა შამილიშვილი,
ნათია წიკლაშვილი,
მურმან ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე,
დავით ბარათაშვილი,
გურამ ჩაგანავა, შოთა მამულაძე,
გუგული დუმბაძე, ნუგზარ ღომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს
„გამომცემლობა კოლორში“
ტელ.: 2 71 76 45
მის.: ქ. თბილისი,
კახეთის გზატკეცილი,
რკინიგზის ჩიხი 20